№ 1. 8 (20) იანვარი. 1870 8 (20) იანვარი № 1.

2 N 26

# დროება


გაზეთის ფასი

| ტფილისში და გარეშე ადგილებში: | გაგზავნით | მიუგზავნელად: |
|---|---|---|
| ერთის წლისა | — 7 მან. | — 6 მან. |
| ნახევარის წლისა | — 4 — | — 3 — 50 კ. |
| სამის თვისა | — 2 — 50 კ. | — 2 |
| ერთის თვისა | — 1 — | — 75 კ. |
| ცალკე ერთის ნუმრისა | | — 15 კ. |

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება ქართულს და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ., ასო მთავრულებით — ასოზე ½ კაპ.

„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში — „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, გაბუნიას სახლში.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

ქუთაისში — ლ. ლ ო ლ უ ა ს თ ა ნ — პოლიციის ქუჩაზე, მელქონ პალიევის სახლში.

ავტორს ორი თვის განმავლობაში შეუძლია უკანვე მიიღოს თავის ხარჯით სტატია, რომელიც გამოგზავნილი იყო „დროებაში“ დასაბეჭდათ, მაგრამ, რომლისამე მიზეზისა გამო, არ დაიბეჭდა.

თუ აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, რედაქცია შეამოკლებს თავის თანამშრომლის სტატიასა და ისე დაბეჭდს გაზეთში. —


## საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

წელიწადი მეხუთე.

### შინაარსი:

შინაგანი ცნობები. — რუსეთის ამბები. — „დროების“ კორრესპონდენციები: სამეგრელოდგან და გორიდან. — შორაპნელი მღვდლიჩინის კორრესპონდენციაზე. — პოლიტიკა: ფრანცია, — ავსტრია და უნგრია, — ანგლია, — ისპანია, — იტალია. — ნეკროლოგი. — დამატებაში: სხვა და სხვა ამბები, — ბიბლიოგრაფიული და კერძოობითი განცხადებანი. —

### განცხადება.

ტფილისის გუბერნიის კეთილშობილთ წინამძღოლისაგან.

ტფილისის გუბერნიის კეთილშობილთ კენჭით ამორჩევა დაიწყობის მომავალ 1870 წლის მაისის პირველიდამ.

ამისა გამო რომ არ მიეცეს აზნაურთ საზოგადოება უსიამოვნო პასუხის გებასა, საჭიროა იქონიოს მხედველობასა ქვეშ, მეტადრე შემდეგი ამნი კანონნი; მესამე ტომის ამორჩევით სამსახურისა: 34, 35, 36, 37, 52, 54, 74, 75, 77, 78, 80, 81, 82, 83, 84, 87, 88, 94, 95, 96, 101, 102, 103, 104, 105, 117, 121, 122, 135 და 138, და მეხუთმეტე ტომის კანონიდამ: 1959, 1961, 1965, 1966 და 1967.

ამაზედ ვალდებულ ვარაცხავ განუცხადო ტფილისის გუბერნიის აზნაურთ საზოგადოებას.

### შინაგანი ცნობები.

იანვარმაც ისეთი მშვენიერი დღეები დაიჭირა ტფილისში, როგორც წარსულ დეკემბერში იყო: არც მომეტებული სიცივე და ყინვა, არც ქარი; წვიმა ხომ ამ დროს იშვიათია. დღე ანთებს და ათბობს ტფილისს მშვენიერი მზე და ეს უკანასკნელი ღამეები დღესავით განათებულნი არიან სავსე მთვარითა. — 5 იანვარს ტფილისის მცხოვრებლებმა დაინახეს მ თ ვ ა რ ი ს დ ა ბ ნ ე ლ ე ბ ა, რომელიც დაიწყო ხუთს საათს სამ მინუტს ნაკლებ და გაგრძელდა ვიდრე შ ვ ი დ ს ა ა თ ა მ დ ე და ო ც დ ა თ ვ რ ა მ ე ტ მ ი ნ. 5 საათიდან ვიდრე 6 და 35 მინ. მთვარე სრულიად დაშტერებული იყო მიწის შტრილოსაგან, (დაბნელებული იყო); ამ დროს მთვარეს ცოტა მოშავო და მოწითალო სახე ჰქონდა, თითქო რაღაც ბადე ჩამოეფარა წინაო, გვეგონებოდათ. 6 საათიდან და 35 მინ. იკლო დაბნელება და ერთის საათის შემდეგ მთვარემ მიიღო თავის ჩვეულებრივი სახე და თავისებურად გაანათა ტფილისი. ეს მთვარის დაბნელება უნდა გამოჩენილიყო ქუთაისში და სხვა აზიის აგრეთვე ევროპის და აფრიკის ზოგიერთი ადგილებიდგანაც. —

დოქტორი შალიგინი იწერება ქუთაისიდგან Кавказъ-ში, რომ ამისთანა ნოემბერი და დეკემბერი, როგორიც ახლა არისო, იშვიათად უნახავთ აქაური მცხოვრებლებსაო: ამ ორი თვის გამავლობაში ისეთი უწვიმობა, მშრალი ჰაერი და სითბო არის ქუთაისში, როგორც ზაფხულს ეკადრებაო; ამნაირი ტ ა რ ო ს ე ბ ი ს გამო ამ თვეებში, შალიგინის სიტყვით, ძალიან გახშირებულა იქ ზოგიერთი ავათმყოფობაები, მაგ. ბავშების ხველა, ყელის ტკივილი და სხვ.; ჰაერის სიმშრალეს ვნებია აგრეთვე იმათთვის, ვინც ფილტვებით არიან ავათ.

ყოველ განათლებულ სახელმწიფოებში შესდგენ ამ უკანასკნელ დროს „პ ი რ უ ტ ყ ვ თ მ ფ ა რ ვ ე ლ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა ნ ი“, რომელთ მიზანი ის არის, რომ დაიცვან და იპატიონ განსაკუთრებით შინაური ცხოველები ცუდი მოპყრობისაგან. ზოგან მმართებლობამ გამოსცა კანონები, რომლების ძალით აღკრძალულია პირუტყვების ცემა და საზოგადოთ იმათი ავათ მოპყრობა; ზოგან კი თვით საზოგადოება, კერძო პირები კისრობენ ამ საქმესა. — ამას წინეთ აქ დადიოდა ხმები, რომ ტფილისშიაც აპირებენ ამისთანა საზოგადოების შედგენასაო, მაგრამ მერე ისევ გაჩუმდენ და არაფერი აღარ ისმოდა ამ საგანზედ. ახლა, Кавказъ — ის სიტყვით, ისევ არის ლაპარაკი პირუტყვების მფარველი საზოგადოების შედგენაზე; რამდონთამე კერძო პირთ გამოუცხადებიათ სურვილი ამ საზოგადოების წევრათ ჩაწერისა და მალე უსტავის შედგენასაც აპირებენო. —

ზ ა ქ ა თ ა ლ ი დ გ ა ნ გვწერენ, რომ ამ ჟამად იქაც მშვენიერი, თფილი ტაროსებიაო. ძალი პური ახლა სამ მანეთ ნახევრათ ისყიდებაო და ქერი ორათ. მომავალი წლისთვის კარგი მოსავლის იმედი არა აქვთ იქაურებს, რადგან თავის გაჩენას მოელიანო. —

14 დეკემბერს შუაღამისას ერევანში ყოფილა მ ი წ ი ს ძ ვ რ ა; ზოგიერთი სახლების კედლები ამ მიწის ძვრით ცოტ-ცოტათი გაბზარულან; მეტი ვნება კი არაფერი არ მოუტანია.

აი რას სწერენ „მმართებლობის უწყებაში“ ზუგდიდის უეზდის მომრიგებელ მოსამართლეზე — ბ ო ბ რ ო ნ ი კ ო ვ ზ ე, რომელმანც შარშან აგვისტოში მიიღო ქუთაისში 17,021 მან. სახელმწიფო ფულები და სადღაც დაიკარგა: „მოსკოვის პოლიციამ მიაქცია ყურადღება ერთს პირს, რომელიც ახლად მოსული იყო სამზღვარს გარეთიდან და იყიდა იქ სახლი კოლეჟსკი ასსესორის ალექსანდრე ოსტროუმოვის სახელზედ. პოლიციამ შეამჩნია, რომ ოსტროუმოვი საეჭვო კაცი იყო და ამას გარდა ის ნიშნებით ძალიან ჩამოგავდა ბობრონიკოვს; ამისგამო მოიხმეს სუშჩინის ნაწილის პოლიციაში და იქ გამოტყდა, რომ ის არის გარდამდგარი გუბერნიის სეკრეტარი ალექსანდრე მენატეს ძე ლ ა ნ ს კ ო ი, 32 წლისა; პირველად ეკატერინოსლავში ვმსახურობდიო, მერე ბობრონიკოვი დავირქვი სახელათაო და პეტერბურღში ვემსახურებოდიო; აქედამ დამნიშნეს ზუგდიდის უეზდის მომრიგებელ მოსამართლეთ *) და იქ ერთ ჩემს ნაცნობს შევხვდიო და ამის გამო სამზღვარს გარეთ გავიქეცი ყალბი ფაშპორტითო და თან სახელმწიფო ფულებიც წავიღეო. ამავე ფაშპორტით მოსულა ის მოსკოვს, უყიდნია სახლი და დამდგარა შიგ თავის 9 წლის ქალით და გოგოთი. სახლის გაჩხრეკის დროს ბობრონიკოვს (ლანსკოის) უნახეს 1,500 მანეთის ბილეთები, პირველი და მეორე შინაგანი სესხის ბილეთები და ვერცხლის და ოქროს ფული, სულ 3,530 მან.

*) როგორც შევიტყვეთ ბობრონიკოვი (ლანსკოი) ზუგდიდში ერევნის გუბერნიიდგან გარდაიყვანეს.

### რუსეთის ამბები.

გაზ. „Кавказъ“ — ს მოუვიდა 2 იანვარს შემდეგი ტელეგრამმა პეტერბურღიდან: „გაზ. „Русскій Инвалидъ“ გვაცნობებს: ამ წლის აპრილში მთელი რუსეთის ჯარი ახლად დაიარაღებული იქნება. ახლა ჯარს აქვს საკმაოთ პატრონები. წარსული 1869 წლის განმავალობაში სიმაგრეებში გაიგზავნა 400 ზარბაზანი ახალი სისტემისა. სამხედრო უწყებისთვის ოთხი მილიონი ხარჯი მიუმატეს შარშანდელზე. —

უკანასკნელ წელიწადებში რუსეთის ქალებმა განსაკუთრებითი ყურადღება მიაქციეს თავიანთი განათლების საქმესა. ჩვენამდინაც მოაწია შარშან იმ ამბავმა, რომ რამდენთამე პეტერბურღის ქალებთა სთხოვეს მმართებლობას, რომ იმათ როგორც ვაჟებსაც, მისცემოდათ საშუალება უმაღლესი სწავლის მიღებისა, რადგან ეს სწავლა იმათთვისაც ისე აუცილებელად საჭიროა, როგორც კაცებისთვის. ჩვენ გვახსოვს, რომ მაშინ ბევრი ადგილებიდან მოუვიდათ პეტერბურღის ქალებს თანაგრძნობის განცხადება ამ წადილზე; ვგონებთ, ჩვენი ქალებიც ტფილისიდან და ქუთაისიდანაც აპირებდნენ თანაგრნობის განცხადებას, მაგრამ, რომელთამე მიზეზებისა გამო, ვერ მოახერხეს ესა. ამ საგანზე სწერენ ახლა გაზეთში „Недѣля“: „ჩვენ გავიგონეთ, რომ ქალების უმაღლესი კურსების პროგრამმა, რომელიც შეიცავს ისტორიულ და ბუნების მეცნიერების საგნებსა, ამ დღეებში დამტკიცებულა მმართებლობისაგან და თვითონ კურსები გაიხსნება ამ 1870 წ. იანვარში. სახალხო განათლების მინისტრის გარდაწყვეტილებით, ქალებისთვის და ვაჟებისთვის გაიხსნება საერთო პუბლიკური ლექციები; ამ გარდაწყვეტილებისა დაგვარათ შარშან ქალებმა სთხოვეს პროგრამმის შედგენა პეტერბურღის უნივერსიტეტის რჩევას; უნივერსიტეტმა ამოარჩია პროფესსორების კომისია, რომელმანც შეადგინა პროგრამმა და ახლა აი ეს პროგრამმა დამტკიცდა. უეჭველია, რომ ეს ლექციები დიდ სარგებლობას მოუტანენ ქალებსა, რადგან იმათ ექნებათ საშუალება თითქმის უნივერსიტეტის საგნების სმენისა; ლექციები ისეთს სწავლას მისცემენ ქალებსა, რომელიც ყველაზე უფრო საჭირო და სასარგებლო იქნება იმათთვის, როგორც დედებისთვის და საზოგადოების ნამდვილი წევრებისთვის“.

შემდეგ „Недѣля“-ს მოჰყავს რამდონიმე საინტერესო ცნობები იმ ქალების კურსებზე, რომელიც გამართულია პეტერბურღის მეხუთე გიმნაზიაში: „აქ ასწავლიან მათემატიკას, ფიზიკას, რუსულ ენასა და პედაგოგიას; მსმენელების რიცხვი 160 ქალია და ზოგიერთებს, უადგილობის გამო, უარსაც ეუბნებიან კურსების სმენისას. უმეტესი ნაწილი მსმენელებისა ღარიბი დედ-მამის ქალები არიან და ხშირად ძალიან შორს დგანან, ასე რომ 5-6 ვერსიდან დაიარებიან კურსების სასმენლად; მაგრამ მაინც ბეჯითად დაიარებიან და სწავლის ფულსაც ყოველთვის თავის დროზე იხდიან. მასწავლებელნი ძალიან კმაყოფილნი არიან ამ ქალებისა, იმათი სწავლის მეცადინეობისა და სიბეჯითისა. მოწაფეებთ შორის არავითარი შური და უთანხმოება არ არსებობს. ეს მაგალითი გვიმტკიცებს, რომ მომავალი პუბლიკური ლექციების საქმეც კარგათ წავა, რომ იქაც ისუფევებს მეცადინეობა და მხურვალე სურვილი სწავლაში წინწასვლისა“.

ჩვენ ვაცნობეთ ამას წინეთ ჩვენს მკითხველებს, რომ პეტერბურღში შესდგა **საზოგადოება**, რომელმაც გაჭირვების დროს ხელი უნდა მოუმართოს **ღარიბს სტუდენტებს** მედიკო-ხირურგიის აკადემიისას. „მოსკოვის უწყებაებში“ დაბეჭდილია ახლა ტელეგრამმა პეტერბურღიდან, რომლიდგანაც სჩანს, რომ ამნაირივე საზოგადოება სდგება ტეხნოლოგიის ინსტიტუტის სტუდენტებისათვისაც. გაზეთი „Недѣля“ აი რას ამბობს ამ საქმის თაობაზე: „ძალიან კარგი იქნება, რომ ამისთანა საზოგადოება შესდგებოდეს უნივერსიტეტის ღარიბი სტუდენტებისათვისაც, რომელთაც, მართალია, მიეცათ შემწეობა ხელმწიფისაგან იუბილეის დროს, მაგრამ, უეჭველია, კიდევ ბევრი გამოჩნდებიან ღარიბები. ყველას კი ის ემჯობინება, რომ შესდგებოდეს ერთი საზოგადოება, რომელიც ეწეოდეს საზოგადოთ ყველა ღარიბ მოსწავლეებსა პეტერბურღში“.

„ბირჟის უწყებაების“ სიტყვით, კამისია, რომელიც შესდგა 2 ნოემბრის რესკრიპტის ძალით, შესდგომია ბეჭდვის კანონების განხილვას. სხვათა შორის განსაკუთრებითი ყურადღება მიექცევა, როგორც ეს გაზეთი ამბობს, პროვინციალური სტამბის მდგომარეობასა. —

ხარკოვიდან როსტოვამდინ (დონზე) რკინის გზა გაუთავებიათ და 24 დეკემბერს გაუხსნიათ. —

### „დროების“ კორრესპონდენცია სამეგრელოდგან.

ნეტავი იცოდეთ რა ხმები დადის აქა. ყველგან არის მოდებული ხმები, რომ ამ წელს ან მერმის 1870 წელს სწორეთ უნდა მოხდეს მეორეთ მოსვლა და ხალხი ცოტა არ არის რომ შეფიქრებულია. ხალხი ლაპარაკობს, ვითომც ეს ხმები შეტყობილი ჰქონდეს გაზეთებიდამ. რომელმა გაზეთმა მოახსენა ეს ამბავი აქაურს ხალხს — არ ვიცი. მე ამ ხმებს უფრო, გაზეთებს კი არა, ივან ივანიჩის „ცისკარს“ ვაბრალებ: უთუოთ ჩაუვარდა ვისმე ხელში ძველი „ცისკრის“ ნომრები, სადაც უფ. პერესელიძე ჰქადაგობდა მეორეთ მოსვლასა, და ხალხს ეგონა — ეს ამბავი ახალი ამბავიაო. „ცისკრის“ აზრით, მეორეთ მოსვლა აქამდინ თუნდა სამოცჯერაც უნდა მოსულიყო, მაგრამ ჯერ აქამდინ ღმერთმა შეგვიბრალა და არც ერთხელ არ მოხდა ეს საშინელი ამბავი..... პირიქით შეგვეძლიან

ვცეთ ნუგეში აქაურს ხალხსაც და ვისაც ეს ხმები სჯერა ყველას, თვითონ „ცისკარსაც", რომ ვერც ჩვენ და ვერც ჩვენი შვილის-შვილი მეორეთ მოსვლას ვერ მოესწრება. ნიშნები მეორეთ მოსვლისა ჯერ, ღვთის მადლით, არა სჩანს რა.

მეორე ახალი ამბავი აქ ის არის, რომ გახშირდა საშინლათ ქურდობა. ზოგიერთების სიტყვით, ამ რამდენსამე თვეში მარტო ზუგდითის მაზრაში დაიკარგა ოთხი ათასამდინ ცხენი, სხვა საქონელს გარდა. ქურდობა იმავე ზ ო გ ი ე რ თ ე ბ ი ს  ს ი ტ ყ ვ ი თ, გახშირდა ძველის წესის მოყვარეთა ქადაგებაებით, რომელთაც თვალში ეკლათ მიაჩნიათ ახალი სამართალი. ძველი წესის მოყვარეთ დაუყრიათ ხმა—ვითომც ახალი სამართალი არა სჯიდეს ქურდებს, თუ თორმეტის თვალნახულის მოწმით არ დაუმტკიცდება იმათ ქურდობა. მაგრამ გასამართლებლათ ახალის სამართლისა უნდა ვსთქვა, რომ რაც ეხლა ამ წესით დამნაშავენი დაისაჯნენ ერთის წლის განმავალობაში, უწინდელის წესით ოთხი-ხუთის წლის განმავალობაშიაც არ დასჯილან; და არც თხოულობს ახალი სამართლის წესი, რომ ქურდს ქურდობა დაუმტკიცდეს მრავლის მოწმებითა: ქურდი შეიძლება დაისაჯოს სრულიად უმოწმოთაც, თუ დანაშაული ცხადათ გამოაჩნდება. წარმოიდგინეთ, რა შური უნდა ჰქონდეთ ახალს სამართლის წესზედ იმათა, რომელნიც ამ წესის გასაყრყვნელათ არა ზოგავენ ამ გვარის ხმების დაყრასაცა. იქამდინ უგუნურნი არიან ამგვარი თავგამეტებით ძველის მოყვარულნი, რომ კიდევ იმედი აქვთ რამე ღონისძიებით ძველი წესის დაბრუნებისა. ნურცარა მომკვდარა რა, თორემ აღარ გაცოცხლდება. ბევრი დასტირის თავს მიცვალებულს, მაგრამ ეს განწირული ტირილი ამტკიცებს მოტირალების უძლურებას, რომ ისინი ველარ იხილავენ მიცვალებულს და არ ძალუძსთ, რომ ჩაუბრუნონ გვამიდამ ამოსული სული.

ა. ფ.

22 დეკემბერს.

ზუგდითი.

---

## გლეხ-კაცების აზრი
### ს ა ს ო ფ ლ ო  შ კ ო ლ ე ბ ზ ე დ.

წრეულს ზაფხულში ერთს საღამოზე მე და ერთი ჩემი კარგი მეგობარი ქალი ჩვენს სოფელში დავდიოდით. შუა სოფელში რომ შევედით, რაღაც ხმა-მაღლივ ლაპარაკი შემოგვესმა; მივახლოვდით და ვნახეთ, რომ დერეფანში ისხდნენ რამდენიმე ხნიანი მამა და დედაკაცები. იმათი სიტყვებიდან ჩვენ მივხვდით, რომ ისინი სასოფლო შკოლებზედ ლაპარაკობდნენ. ჩვენ მოვინდომეთ გაგება ხალხის აზრისა ამ საგანზედ და ამისათვის იქვე შევდექით და ბეჯითად ყური დაუგდეთ იმათს ლაპარაკსა.

პ ი რ ვ ე ლ ი  დ ე დ ა კ ა ც ი. შენ არ მამიკვდე, რომ მე იქ ჩემი ლექსოა არ მივცე. შენაცვალეთ, ასე ამბობენ იქ რომ ცოტა ბაბუას ისწავლიანო, მერე ჩვენთვის გამოსადეგნი აღარ იქნებიანო.....

მ ე ო რ ე  დ ე დ ა კ ა ც ი. უიმე, რას ამბობ, გენაცვალე? თუ ეგრეა, მე ხვალვე ქოლდისწყაროს გავგზავნი ჩემ ბიჭსა......

მ ე ს ა მ ე  დ ე დ ა კ ა ც ი. ხედამთ ამ ტ რშინას რა საქმეს გვიშვრება? თითონ ხუთი ბიჭი ჰყავს და არც ერთს არ აძლევს სასწავლებელში და მე კი ორის პატრონს იმას მართმევს, რომლისაგანაც მოველი დღეის უკან ცხოვრებასა. ძლივს მოვესწარ იმის მეხრეობასა: წრეულ ხუთი ალო აიღო. რათ მინდა იმის სწავლა, რას მამიტანს? ბიო არ გვეყოფა მწერლათა? რა ბევრს ის გვართმევს-ერთ თამასუქის დაწერაში ერთ ქათამს გვჯერდება.

გ ლ ე ხ ი. ღმერთმანი, დღეს რომ ღვდელი მოვიდა ბავშვების სახელის ჩასაწერათა, ისეთი ქლიავილ-სივილი შეუდგათ სახლშია, რომ კინაღამ ტირილი დავიწყე. ჩემი ტატუა დასამალათ ტყეში გაიქცა.

ამ დროს ჩემმა თანამოგზაურმა ხელი მომკიდა და შემიყვანა დერეფანში. უნდა ვსთქვა, რომ იმ კრებაში სხვათა შორის იყო ერთი გამოცდილი გლეხი, ნინიკა; იმას მონაწილეობა არ მიუღია ჩვენს გაგონილ ლაპარაკში, მაგრამ ეტყობოდა-კი, რომ ჩვენს მისვლამდინ იმასაც ელაპარაკნა შკოლის შესახებ საქმეზედა. აი ამ გლეხს მიმართა ჩემმა მეგობარმა.

— ნინიკა, რაზედ გაქვსთ აგრე ცხარი ლაპარაკი?

— ხისულელე ამათი, სთქვა ნინიკამ; მის მაგიერ რომ ღმერთს მადლობა შევწიროთ, რომ ღონისძიება მოგვცა ჩვენი შვილების გამოზრდისა, ესენი ინაზებიან კიდეცა და არ უნდათ თავიანთი შვილები შკოლაში მისცენ სასწავლებლად. ეხლა, თუ მოგეხსენებათ, კეთდება შკოლები—რამდენსამე სოფელზე თითო. ჩვენმა შვილებმა უნდა შეიძინონ ამ შკოლებში წერა-კითხვის და კიდევ სხვა და სხვა ნაირი სწავლა. თქვენმა მზემ, რომ წაიყვანდნენ ჩემ ოთხთავ შვილებს მივცემ, არამ თუ ერთსა. მე რომ ვერ მირჩენია ჩემი ცოლშვილი მარტო ხვნითა და თესვითა, იმათაც ეს საქმე არ მოუვათ?

პ ი რ ვ ე ლ ი  დ ე დ ა კ ა ც ი. ოჰ, ოჰ! ვინ იცის რაები გამოვიდნენ შენი შვილები! შენ ხომ ბევრი დაგიჭერია შენი ბაბუითა და შენი შვილები იქნება ღვამპალაშვილივით გამდიდრდნენ.

— ეგ არის თქვენი დანახვა! უთხრა ნინიკამ, იასაული რომ მოგივიდეთ ბრძანებითა, შიშით გონება გეკარგებათ მინამ მე საქმეს არ მამაცდენთ და არ წამაკითხებთ. აბა თუ მე ჩემი ცოტაოდენი ცოდნითა გრგებთ, ისინი უფრო სწავლულნი არ იქნებიან და გამოსადეგიცა?

— სწორეს ამბობს ნინიკა, მიუბრუნდა ყველას ჩემი მეგობარი, თქვენ თქვენთვინა ზრუნავთ—ჩვენმა შვილებმა უნდა გვაცხოვრონო და იმას კი აღარა ფიქრობთ, რომ თქვენი თავისათვის შვილებს აცდენთ სწავლასა, რომელიც მთელმა ქვეყანამ დაინახა საჭიროთა და სწორეთ საჭიროც არის. თქვენ შვილებს რო სწავლა ექნებათ, წიგნებს წაიკითხავენ და იქიდან გაიგებენ, რომ არიან სხვა-და-სხვა სახელმწიფოები, რომლებშიაც ჩვენზე უკეთესათ ხვნენ და თესვენ, ბაღეულობაც ჩვენზე კარგა მოჰყავთ. წიგნებიდგანვე გაიგებენ ჯინშიანი საქონლის გაჩენასა, საზოგადოთ საქონლის მოვლასა და იმათ სნეულობის წამლობასა; ზოგიერთ შემთხვევაში თავიანთ თავის ექიმობასაცა და მრავალ სხვასა. ეხლა ფიჩხილი რო წამოგტკივდეთ, მაშინვე მკითხავთან გარბიხართ და ტყუილ-უბრალოთ ხარჯს ეწევით. გარდა ამაებისა უპირველესი ის არის, რომ სამღთო წერილს შეისწავლიან, გაიგებენ რა ვალდებულება აძევს ქრისტიანს კაცს და უფრო დაბეჯითდებიან, რომ დედმამას სიყვარული და პატივის ცემა უნდა.

— რასა ბძანებ, უთხრა პირველმა დედაკაცმა, წიგნი რომ არ წაუკითხნია ჩემ კაცსა, იმიტომ თავისი ლომა ხარებით შინდივით პური ვერ მოჰყავს! შვილს როგორ არ ვეყვარები, იმისი მშობელი ვარ და თუ გამჯავრებს რასმე და რავქნა შვილოა, ერთი გვერდი რო შემიჭამოს, მეორე უნდა მიუშვირო.

—შენმა მზემა, უთხრა ნინიკამ, შინდივით პური! იქნება წელიწადში სამოც კოდსა ჰყიდდეთ! წლითა წლამდე კბილები ჰქდითა გაქვთ გადალესილი. გახსოვთ, დიდი ბატონი, რო გვეუბნებოდა ხოლმე, როგორ უნდა მამულის მოვლა; იმან სულ წიგნებიდგან არ ისწავლა? ისეც ჩვენი შვილები, ისწავლიან მამულის მოვლასა და ისეც გამდიდრდებიან, როგორც ეს ჩვენი ბატონის შვილები. აბა ესენი იმდენ ფულ რათა ხარჯამენ სწავლაში, თუ სწავლა კარგი არ იყოს?

ქა,ბატონებსაც ედრები? ბატონები იმიტომ არიან, რომ ღმერთს მაგათთვინ ყველა მზათ გაუჩენია; მაგათ რო თავიანთ სიცოცხლეში სულ ისწავლონ, რა უშავთ, მაგრამ ჩვენ სადა გვცალია სწავლისათვის—ჯერ პური გვშიან, სთქვა პირველმა დედაკაცმა. *)

— მაგას რას ამბობ, ნინო, უთხრა ჩემა მეგობარმა, განა ვერა ჰხედავთ როგორ ყველაში გჯობიათ სწავლული ხალხნი: როგორც გონიერებაში, ისეც ცხოვრებაში, თუ ჭამით, სმით და ჩაცმითა? აქედანა სჩანს, რომ სწავლას უფრო ადვილათ მოაქვს კეთილი ცხოვრება. გარდა ამისა, განა დღიური ლუკმა მარტო ხვნითა და თესვით მოიპოება? არა, ქთვენისთანა მხნელ მთესველს თავის დღეში კარგი ცხოვრება ვერ უპოვია და ვერც თქვენ იპოვით, ამიტომ რომ ხვნასა და თესვასაც სწავლა უნდა. მეორეც ესა, რომ არიან კიდევ ბევრი სხვა გზები ცხოვრებისა, მაგალითად: ვაჭრობა, ხელოსნობა, ოსტატობა, მხატვრობა, მწერლობა, ხელმწიფის სამსახური და სხ; და ნუ იფიქრებთ, რომ თქვენ შვილებს არ შეეძლოთ ასრულება ყველაფრისა, რაც მე ჩამოვთვალე. სწავლას ბევრი რამ შეუძლიან. შენიშნულია, რომ წარჩინებულნი კაცნი ხშირათ უფრო თქვენისთანა ხალხიდგან გამოდიან. ასე, ჩემო ნინო; სიხარულით მიეცით თქვენი შვილები სწავლაში; სწავლა დიდი სამკაულია კაცისათვის და მარტო სწავლას შეუძლიან გამოიყვანოს ჩვენი ხალხი იმ უმეცარი მდგომარეობიდგან, რომელშიაც აქამდინ ყელამდის არის დაფლული.

. . . . . . . . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . . . . . . . .

ამ ლაპარაკში მღვდელი მოვიდა და წაუკითხა სახელები ყმაწვილებისა, რომლებსაც სწავლა უნდა დაეწყოთ ახლად გახსნილ შკოლაში. მე შევნიშნე, რომ ჩემი მეგობრის ლაპარაკმა იქონია გავლენა დერეფანში მსხდომრებზე: იმათ სრულიად აღარ განუცხადებიათ უარი მღვდლის მიწვევაზე და თითქო მოწადინეობით დაჰპირდნენ თავის დროზე შვილების შკოლაში გაგზავნასა.—

ეკ. თარხანმოურავისა.

გორის უეზდი.

1869 წ.

*) ამ ნაირი უსაფუძვლო აზრი სწავლაზე და თავის შვილების მომავალზე ყველგან რომ არ არის ჩვენში გავრცელებული ამას ცხადათ გვიმტკიცებს სხვა სასოფლო შკოლებში მოსწავლეების რიცხვი.

რედ.

---

## შორაპნელი ბლაღოჩინის კორრესპონდენციაზე, რომელიც „მნათობში" (სეკდემბერი და ოკტომბერი) დაბეჭდილია.

Не спросясь броду—не суйся въ воду.

(რუსული ანდაზა).

ამ დღეებში მიღებულს „მნათობის" წიგნში მე წავიკითხე სტატია შემდგომი სათაურით: „მ ე ო რ ე  კ რ ე ბ ა  ი მ ე რ ე თ ი ს  ე პ ა რ ხ ი ი ს  ს ა მ ღ ვ დ ე ლ ო თ  ს ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი ს  გ ა უ მ ჯ ო ბ ე ს ო ბ ი ს  თ ა ო ბ ა ზ ე". ძლიერ ვწუხვარ, რომ უნდა დავსწერო რამოდენიმე სიტყვა ამ სტატიის გამოისობით, რომელიც მახინჯი რამეა როგორც ენითა, სიტყვების და აზრების არეულობით და ერთმანერთში მოუთავსებლობით, ეგრეთვე თავისი მიმართულებით,—ვსწუხვარ მით უმეტეს, რომ ამჟამად სტოლთან მოჯდომა და კალმის ხმარება ჩემთვის ადვილი არ არის; მაგრამ ეს სტატია გავსილია სიცრუეთ ისეთი საგნების შესახებ, რომ პასუხის უგებლად მისი დატოვება არ შემიძლია. არ ვიცი, რას უფრო უნდა დავუკვირდე აქ: იმის წინააღმდეგობას ... თუ რომელსამე სხვა მიზეზებს, რომლითაც კორრესპონდენტი, შორაპნელი ბლაღოჩინი, ამრუდებს ცხადს ფაქტებს და სიცრუვეს სიცრუვეზე ისვრის. ცოტაა კორრესპონდენციაში ფაქტები, რომლებიც მას ნამდვილათ გადმოეცეს და თავისებურად არ შეეცვალოს.—

დავიწყოთ თუნდ იქიდგან, რომ ის ამბობს, ვითომც კრების დეპუტატები ბლაღოჩინებისაგან იყვნენ არჩეულნი, მაშინ როდესაც იმათ ირჩევს ყოველთვის მთელი სამღვდელოება. ამ უბრალო ფაქტის შეუცვლელათ გარდმოცემაც ვერ მოუხერხებია შ. ბ—ს.

შორაპნელი ბლაღოჩინის ანგარიშით გამოდის, რომ მომავალს 1870 წელში, კრების გარდაწყვეტილებით, უნდა შემოუვიდეს სასწავლებელს ორი ათას ცხრაასი მანეთი (2900 მან.); მართლა კი გარდაწყვეტილია და უნდა შემოვიდეს 2600 მანეთზე ცოტათ მეტი. ეს მეორე ტყუილი.

მოიყვანს რა კრების გარდაწყვეტილებას ფულის შემოტანაზე, შ. ბ. ღაღად ჰყოფს: „დიდება იმერეთის სასულიერო წოდებას ამისთანა საქმისათვის! ჰგავს ი ს ი ნ ი ზრუნავენ თავის შვილებზე!" როგორ ეკავშირება საქმეს ეს განკვირებითი ფრაზები, თავის ადგილას არიან ისინი ნახმარნი თუ არა, და რა ანგარიშით წამოისროლა შ. ბ-მა ეს შესხმა, ამას მკითხველი გაიგებს შემდგომი გარემოებიდგან. როგორც იყო ნათქვამი „დროების" №41-ში, რომელშიაც მოკლე ცნობები სამღვდელოების კრებაზე ნამდვილად იყო გარდმოცემული, ახალი უსტავით, სასულიერო სასწავლებლები აუცილებლად სამღვდელოებამ უნდა შეინახოს მისგანვე ამოჩენილი ადგილობრივი საშუალებით. სასულიერო მთავრობის ხელში რომ საშუალებაა, ის სემინარიებს უნდა მოხმარდეს. ამის გამო რუსეთში ყველა სასულიერო სასწავლებლებს (თვითო-ეულს ეპარხიაში რამოდენიმეა), რომლებსაც წინეთ მთავრობა აძლევდა საშუალებას, ახლა სამღვდელოება ინახავს; ასე რომ არა ქნან, სასწავლებლები დაიხშვება. ქუთაისის სასულიერო სასწავლებელს უმეტესი ნაწილი წლიური საშუალება (3537 მან.) ადგილობრივ საეკკლესიო ხაზინიდგან ეძლევა. მოკლე დროში სასწავლებელი მოელის უსტავისამებრ სრულს ცვლილებას, რომლის შემდგომ მას დასჭირდება წელიწადში სარჩოდ 13,000 მანეთზე მეტი. მე არ ვიცი ნამდვილად, კვლავაც ექმნება სასწავლებელს სასულიერო მთავრობისაგან ახლანდელი შემწეობა ფულით (3537 მან.): თუ არა უსტავისა მებრ მთავრობა არ არის ამის ვალდებული, და თუ აქაურს საეკკლესიო ხაზინაში საშუალება იქნება, ამ სასწავლებელს კი არა, სემინარიას უნდა მოხმარდეს. მაგრამ ვსთქვათ რომ ეპარხიის მთავრობამ შესაძლოთ დაანახოს, რომ ახლანდელი შემწეობა კვლავაც აძლიოს სასწავლებელს, დანაშთენი 10,00 მანეთი ხომ სამღვდელოებამ უნდა იკისროს; თუ არ იკისრებს, შვილები გამოუზრდელად დარჩება. ამასთანავე ისიც არის, რომ თუ ერთი სასულიერო სასწავლებელი ახლა არ კმარა მთელი ეპარხიისთვის, მით ნაკლებად იქმნება საკმაო მომავალში. როდესაც საქმე ამ გვარს მდომარეობაშია, როდესაც აუცილებელია, რომ მოკლე დროში ასე დიდ ძალი საშუალება უნდა მოიპოვოს სამღვდელოებამ სასწავლებლისთვის,—რა ქნა, რა საშუალება გამონახა სამღვდელოებამ ჯერ ჯერობით, მთელი ორი წლის განმავალობაში? როგორც ზევით ვსთქვი, მომავალს 1870 წელში უნდა შემოუვიდეს სასწავლებელს სამღვდელოებისაგან 2600 მანეთამდე; უმეტესი ნაწილი ეს ფული სანთლის და სხვა ეკკლესიის შემოსავლიდგან არის, უმცირესი ნაწილი სამღვდელოების საკუთარი ჯიბიდგან. რასაკვირველია, მე არას ვამბობ იმაზე, რატომ სამღვდელოებას ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვულები სულ თავის საკუთრებიდგან არ შემოაქვს: იმას აქვს უფლება, რომ უმეტესი ნაწილი საშუალება, თუ იქნება სრულიადაც, სასწავლებლისთვის ეკლესიების შემოსავლიდგან მიიღოს და შემოიტანოს; მაგრამ, როდესაც ვხედავთ, რომ ჯერ—ჯერობით ვერც საეკკლესიო შემოსავლის წყაროები გაუმჯობესებიათ და გაუმრავლებიათ და ვერც თავის საკუთრებიდგან მოუხერხებიათ რამე, განკვირვებითი ფრაზები შ. ბ-ისა, ცოტა რომ ვსთქვათ, უდროო და უსაფუძვლო მაინც არის. ამასთან აი რას ვიტყვი: დარწმუნებული უნდა ვიყვეთ იმაში, რომ სამღვდელოებას რომ კარგად გაგებული ჰქონდეს საქმე, რიგიანად ესმოდეს თავისი საკუთარი სარგებლობა, უფრო დიდს მზრუნველობას და მეცადინობას გამოაჩენდა საეკკლესიო შემოსავლის გამრავლებაზედაც და სასწავლებლისთვის საშუალების მოპოებაზე. როგორ მოხდა, რომ სამღვდელოებას საქმე კარგად გაგებული არა აქვს? საქმე აქვს მას გაგონილი და განმარტებული მხოლოდ ოფიციალური მხრით, სასულიერო მთავრობისაგან; მაგრამ ეს არა კმარა. სამღვდელოება ჰფიქრობს: ვიტყვით—ღარიბნი ვართ, შევიწროებულნი ვართ; ალბათ მთავრობა შეხედავს ჩვენს სიღარიბეს და სასწავლებელზე მზრუნველობისაგან განგვათავისუფლებს. აუცილებელი საჭიროა, რომ თვითონ სამღვდელოებაში საკმაოდ ერიოს იმისთანა პირები, რომლებმაც კარგად იციდენ საქმე და ამასთანავე ჰქონდესთ საკმაოდ კეთილი ნება და სიმხნე, რომ პირდაპირ, დაურიდებლად და ნამდვილად გააგებინონ საქმე თავის თანამოძმეებს. მაგრამ, ვაი, ზოგიერთი ამისთანა კაცი უფრო რევს და ახდენს საქმეს. რათ შვრებიან ამას? ნუ თუ განსაკუთრებითი გაბედულობა და სიმხნე უნდა, რომ იმათ მართლა და პირდაპირ უთხრან თავის მოძმეებს: „საქმე ნამდვილად ამ მდგომარეობაშია; ჩვენი ჭეშმარიტი სარგებლობა ითხოვს, რომ აუცილებლად ამ გვარად მოვიქცეთ“. ახირებული ამბავია! მაგრამ... ამ ახირებული ამბის ასახსნელად მივმართოთ შ. ბ-ის ნაამბობს. აი რას ამბობს ის ბლაღოჩინების კენჭით არჩევის შესახებ, რომელზედაც სამღვდელო დეპუტატებმა ყოვლად სამღვდელოს სთხოვეს: ბლაღოჩინების კენჭით არჩევა იმერეთში კარგი არ იქნებაო, ამისთვის რომ „ნასწავლი კაცები ცოტანი არიანო; მერე კიდევ იმერეთის ხალხი სხვა ნაირი აზრისა არისო (?). მრუდედ მსჯელები და პირმოთნეები უფრო უყვართო და იმათ აირჩევენო....„ ახლა ხომ მიხვდით, მკითხველო, რისთვის არის საჭირო განსაკუთრებითი გამბედაობა და სიმხნე? აგრეთვე ხომ გაიგეთ, რა ანგარიშით უძლევს შ. ბ. სამღვდელოებას დიდებას? მაშა სადამე, შ. ბ., ვისაც ბლაღოჩინობა ან სხვა ამორჩევითი თანამდებობა სამღვდელოებაში უნდა, ეცადოს მრუდე მსჯელობას და პირმოთნეობას, თორემ ცარიელი დარჩება, ბლაღოჩინად არ ამოირჩევენ. რა ჰქნას მაშინ იმ კაცებმა, რომელთაც არათუ თანამდებობა, თვითონ ეს სახელი ისე შეჰყვარებიათ, რომ თავის საკუთარ სახელად გაუხდიათ? მაგრამ იცით, რას გეტყვით, შ. ბ.: მე მგონია, თქვენ სცდებით, როდესაც ამბობთ, რომ იმერლებს მრუდე—მსჯელები უფრო უყვართო. ის, რასაც თქვენ მარტო იმერლებს მიუწერთ, ყველა გაუნათლებელის და ნაკლებად განათლებულის ხალხის თვისებაა. იმერეთის სამღვდელოებას განათლება ძლიერ აკლია, მაგრამ, საზოგადოთ რომ ვსთქვათ, მას აქვს ზოგიერთი ისეთი თვისებაები და მხარე, რომლის გამოისობით რამდენათმე უპირატესობას ვაძლევ მე მას ქართლის და კახეთის უფრო განათლებულს სამღვდელოებაზე; იმერეთის უსწავლელ ანუ მცირე ნასწავლ მღვდლებთ შორის ურევიან ამისთანაები, რომელნიც თავისი ბუნებითი ჭკუით და პატიოსნებით ბევრად სჯობიან ზოგიერთს კვაზი—სწავლულ მღვდლებს; ამისთვის სამღვდელოებამ რომ ბლაღოჩინების ამორჩევის დროს პირველებს უპირატესობა მისცეს უკანასკნელებზე—ეს არც გასაკვირველი იქნება და არც საწყენი. რასაკვირველია აქ, როგორც ყოველგან, მოსალოდნელია, მეტ დრე პირველად, ხშირი შეცდომა, მოსალოდნელია, რომ ხანდისხან ურიგო კაცები ცუდი საშუალებით მოიგებენ საქმეს; მაგრამ მღვდლები რომ უმეტეს ნაწილად პატიოსან კაცებს მისცემენ უპირატესობას—ამაში ეჭვი არ არის.—აქ მაგონდება მე ერთი შემთხვევა სამღვდელოების პირველი ყრილობის დროს მომხდარი. ვის არ გაუგონია ზღაპარი იმაზე, როგორ იქცეოდა ღამურა, როდესაც ოთხ ფეხებსა და ფრინველებს შუა ომი იყო? ხან ფრინველებთან დაფრინავდა და მათ ეუბნებოდა: მეც ფრინველი ვარო და თქვენი მომხრე ვარო; ხან ოთხფეხებთან ჩუმათ მიცოცდებოდა და მათ არწმუნებდა: მეც ოთხფეხი ვარო, ფრინველების მტერი ვარო და თქვენი გამარჯვება მინდაო. ბოლოს ორივე მხარემ შეიტყო მისი ქცევა, და ღამურა ფრინველებისაგანაც და ოთხფეხებისაგანაც მოძულებული და გაშორებული შეიქნა.—ახლა ვიტყვი რამდენსამე სიტყვას ერთი ნასწავლთაგანი დეპუტატის ქცევაზე კრების დროს: იმ პირებთან, რომელნიც კრებაში არ ირიცხებოდენ, მაგრამ ძლიერ სურდათ, რომ კრებას საქმე რიგიანად წაეყვანა, ეს დეპუტატი დიდს ლიბერალობას იჩენდა და ბევრს ლაპარაკობდა სასწავლებლის სასარგებლოდ: „ასეო და ისეო, მე ვეუბნები მღვდლებსაო, რომ სა'წავლებელს კარგათ შევეწიოთო და ამის გამო ჩემზე ძლიერ ჯავრობენო; სხვები კი ჩემსავით არ იქცევიანო, პირმოთნეობენო....“ და ამისთანაები. თურმე, ნუ იტყვით, როგორც გამოჩდა, ეს ლიბერალი დეპუტატი მღვდლებს სულ სხვას ეუბნებოდა: „ფულების გამოღება სად შეგვიძლიაო, ღარიბნი ვართო, სასწავლებელს ჩვენ ვერ შევეწევითო“ და სხ. რათ იქცეოდა ასე ორპირად ლიბერალი დეპუტატი? მღვდლებს უნდა ამოერჩიათ კრების თავმჯდომარე და ამას გარდა ორი წევრი სასწავლებლის სამმართველოსათვის. ხსენებულს დეპულატს ძლიერ სურდა თურმე, რომ ერთი ამ თანამდებობათაგანი ეშოვნა და ამისთვის ცდილობდა, რომ რითიმე მღვდლებისთვის ესიამოვნებინა. მაგრამ საწყალი არც თავმჯდომარეთ და არც წევრათ არ ამოირჩიეს; ამისგამო, როგორც ამბობენ, ის ძალიან დამწუხარებულიყო, მით უმეტეს, რომ მეორე მხარესთან რომ ის ლიბერალობას და კაი სახელის მოპოებას ცდილობდა, ამ მხარესაც გაეგო მისი ორპირი ქცევა. ორს ყურდგძელს რომ ერთს დროს უკან გამოუდგები, ვერც ერთს ვერ მიეწევიო—ამბობს რუსული ანდაზა. ეს ანდაზა ასრულდა ლიბერალ დეპუტატზე. ეს შემთხვევა მისთვის კაი ჭკუის სასწავლი იყო; მაგრამ საეჭვოა, რომ მას იმით ესარგებლოს.—

აქედგან სჩანს, შ. ბ., რომ მრუდე—მსჯელობას და პირმოთნეობას იმდენი მოქმედება არა აქვსთ სამღვდელოებაზე, როგორც თქვენ გგონიათ; დარწმუნდით, რომ სვინიდისიანი ქცევით, პირდაპირობით და სიმართლით უფრო მოიგება საქმე, ვინემ სიევრაგით და ორპირობით. . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . .

შეასხა რა ქება სამღვდელოებას ფულის დადებისათვის სასწავლებლის სასარგებლოთ, შ. ბ. ამბობს: „ფულიც რომ ბევრი იყოს, თუ მომჭირნეობა (ეკონომია) და ხეირიანი მომხმარებელი არ არის, მაშინ ბევრი ფულისაგანაც არა იქნება რაო.“ რისთვის, ვის დასარიგებლად წამოისროლეთ ეს გაცვეთილი ჭეშმარიტება, შ. ბ? თუ ამითი გინდოდათ გეთქვათ, რომ სასწავლებელს კარგი ეკონომია არა აქვსო? რა საბუთით დაამტკიცებთ ამას? რაში შეამჩნიეთ თქვენ მოუმჭირნეობა სასწავლებლის მმართველობას? როგორც კრების დროს განხილული წიგნი უჩვენებდა და თქვენც ამბობთ, სამღვდელოებისგან შემოსული ფულებიდგან მასწავლებლებს ჯამაგირი მოემატათ. დიდად ხომ არ გამოგიჩნდა თქვენ დანიშნული ჯამაგირი და ამაში ხომ არ ნახეთ მოუმჭირნეობა? ამისთვის მოუმატეთ თქვენ სიცრუე, რომ 350 მანეთს გარდა მასწავლებელს ო თ ა ხ ი, შ ე შ ა და ს ა ნ თ ე ლ ი ა ქ ვ ს ო? ეს მით უფრო გასაკვირველია, რომ შ. ბ-მა ძალიან კარგად იცის, რომ სასწავლებლის სახლში 10 მასწავლებელთაგან მხოლოდ სმატრიტელს და დროებით სამს მასწავლებელს აქვს ბინა და შეშა, სანთელი კი არავის არ ეძლევა; დანაშთენი 6 მასწავლებლები, სმატრიტლის თანაშემწის გარდა, თავის ფულით ქირაობენ ბინას. საზოგადოდ მასწავლებლების ჯამაგირის შესახებ იმას ვიტყვი, რომ არა თუ ახლანდელი ჯამაგირი ცოტა არის, არამედ ისიც, რაც შტატისამებრ უნდა დაენიშნოს მათ, სასწავლებლის რეფორმის შემდეგ, ძლიერ მცირე არის. როდესაც სამღვდელოების კრების დროს ლაპარაკი ჩამოვარდნილიყო მასწავლებლების ჯამაგირის სიმცირეზე, ზოგიერთ დეპუტატებს ეთქვათ: „თუ ჯამაგირი ეცოტავებათ, შეუძლიათ წავიდენო; ჩვენ სხვა მასწავლებლებს უფრო იაფათ ვიშოვნითო.“ როდესაც ეს წარმოითქვა, რა სთქვით თქვენ მაშინ, სწავლულო შორაპნის ბლაღოჩინო, კვერი ხომ არ დაჰკარით? და საზოგადოდ, როგორ გგონიათ თქვენ: ხომ კარგი იქნება, რომ სამღვდელოებას მიეცეს ნება მასწავლებლების ა უ ქ ც ი ო ნ ი თ მონახვისა: ვინც უფრო ცოტა ჯამაგირს დასჯერდეს, ის მიიღონ მასწავლებლად; კონკურენტები ბევრი მოიყრიან თავს, და . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

როდესაც თქვენს უაზრო შენიშვნას სწერდით, შ. ბ., მომჭირნეობის შესახებ, საფიქრებელია—თქვენ გქონდათ სახეში შემდგომი ფაქტიც, რომელიც თქვენ ასე ბნელად და ორჭოფად მოგვყავსთ: „სასწავლებლის ზედამხედველი ტფილისს წასრულიყოვო იქაური სამასწავლებლო შკოლის სანახავათ და პ რ ა გ ო ნ ი ს თ ვ ი ს ქუთაისიდამ ტფილისამდის 45 მან. და 82 კაპ. დაეხარჯაო მღვდლებისგან შამოტანილი ფულიდგან; ამაზე ზოგიერთი დეპუტატები უკმაყოფილონი დარჩენო.“ ისე ბნელად არის ეს ნათქვამი (განგებ თუ შ. ბ-ის გაუგებლობით), რომ მკითხველს ადვილად შეუძლია ასე იფიქროს: „თავის საქმეზე წასულა ზედამხედველი ქალაქს, იქნება სასეირნოთაც; მგზავრობაში ხარჯათ უხმარია მღვდლებისაგან შამოტანილი ფული ყოვლის ნება დაურთველად და მერმე წიგნში ჩაუწერია: ქალაქს სასწავლებლის საქმეზე ვიყავიო და ეს ფული დავხარჯეო.“ თუ რომ მართლა ასე ყოფილიყო საქმე, ფულის დახარჯვა უკანონობა იქნებოდა, და გასაკვირველიც არ იქნებოდა, რომ დეპუტატები უკმაყოფილოდ დარჩენილიყვნენ; მაგრამ წიგნშიაც ცხადად იყო ნათქვამი და ზოგიერთმა დეპუტატებმაც კარგა იცოდენ, ვისი განკარგულებით და რისთვის მოხდა ზედამხედველის ტფილისში წასვლა დროებით და იმ ფულების დახარჯვა; ამის გამო უკმაყოფილება რომელთამე დეპუტატების მხრით შეუძლებელი იყო, და ჩვენ ეს უნდა მივაწეროთ მხოლოდ საკუთარს შ. ბ—ის ფანტაზიას.

შ. ბ. მიუწერს კრებას, სხვათა შორის, შემდგომ გარდაწყვეტილებას: ვითომც მას გარდაეწყვიტოს, რომ სასწავლებელში თუ ადგილი დარჩეს, საერო უწყების ყმაწვილებიც მიიღონო. ეს საეჭვო ფაქტია. ამას კრების გარდაწყვეტილება არ უნდოდა და არც კრების საქმეა; საქმე მასშია, რომ თუ კლასებში მოსწავლეების რიცხვი უსტავით დადებულს რიცხვზე ნაკლებია, სა'წავლებლის მთავრობამ უნდა მიიღოს საერო უწყების ყმაწვილებიც, ვინც ისურვებს. ამას უსტავი ითხოვს და კრების გარდაწყვეტილება რაღათ უნდოდა.

ყველაზე უფრო შესანიშნავია შ. ბ—ის სტატიაში ფრაზები სწავლის შესახებ სასწავლებელში. მისი სიტყვებიდგან გამოდის, რომ მასწავლებლები ხეირიანები არ არიან, მოსწავლეები ვითომც ექვს წელიწადს რჩებიან თითო კლასში და არა იციან რა; მასწავლებლების გამოცვლამდის სწავლა კარგათ არ წავაო. მეტად გასაკვირველია, თუ რამე კი გაუკვირდება კაცს შ. ბ—საგან, რატომ იმაზე მაინც არ იფიქრა ამ უფალმა, რომ ამისთანა ფრაზებს რომ იწერის, ამას რამე საბუთები, რამე დამტკიცება უნდა. მართლაც რომ ისე ცუდად მიდიოდეს სწავლის საქმე, როგორც შ. ბ—ის სიტყვებიდგან გამოდის, მეტის მეტი წინდაუხედავი უნდა იყოს კაცი, რომ ეს მარტო მასწავლებლებს დააბრალოს. ვინ არ იცის, . . . . . რომ სწავლა მარტო მასწავლებლებზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ ბევრ გვარ სხვა და სხვა პირობაებზეც. საქმე შორს წავა და არც საჭიროა, რომ ყველა პირობებზე ვილაპარაკო. მე მოვიხსენებ აქ მხოლოდ უმთავრესს იმათგანს, რომლებსაც დიდი და ცუდი გავლენა ჰქონდათ და აქვსთ სწავლაზე ჩვენს სასწავლებელში. შევხედოთ, მაგ., ამ სასწავლებლის მოსწავლეების ცხოვრებას. წარმოიდგინეთ, ვისაც არ გინახავს, ქალაქის გარეთ, მთაზე სასწავლებელი და იმის ახლოს და შორს, აქა-იქ კლდეებზე და ფერდოებზე გაფანტული პატარა ხის ქოხები, შეულესავი, ფარღალალოებიანი კედლებით, უფანჯრო, უბუხრო, ტალახიანი მიწის იატაკით,—რომლებშიაც სტოლის, სკამის, კრავატის და სხვა მებელის მაგიერობას რამოდენიმე ფიცრები ასრულებს. თითქმის უმეტესი ნაწილი მოსწავლეებისა ამისთანა სახლებში დგანან, თვითოეულში რამდენიმე. მჭადი და ლობიო მათი უმთავრესი საზრდოა; ხორცეულობა, არა თუ უბრალო დღეებში, კვირაობით და დღესასწაულობითაც ძალიან იშვიათად აქვსთ. მოსამსახურეები მათ არა ჰყავთ, ამისთვის შეშ ზე, წყალზე და საჭმლის მომზადებაზედ ე. ი. მჭადის გამოცხობაზე (სიმინდის ფქვილიდგან) და ლობიოს მოხარშვაზე, თვითონ უნდა იზრუნონ; მაგრამ როდის? დილის რვა საათიდამ ნაშუადღევის პირველსა და მესამე საათამდე კლასში არიან. კლასიდგან რომ გამოდიან, ისინი სჭამენ სადილს—წინა დღეს გამომცხვარს ცივს მჭადს და ლობიოს; მერმე ფიჩხის და წყლის მოტანას, ვახშმის და მეორე დღისათვის სადილის კეთებას უნდებიან; საჭმელს ამზადებენ ქოხის შუაგულ ანთებულს ცეცხლზე, რომელიც უმეტეს ნაწილად სანთლის მაგიერობასაც შვრება წიგნის კითხვის დროს. ზოგი მოსწავლეები აქაურს ღარიბს მცხოვრებლებთან ბინადრობენ, მაგრამ თითქმის იმავე გაჭირვებით, ბნელს, უფანჯრო, უბუხრო და უმებელო სახლებში.—აი უმეტესი ნაწილი მოსწავლეების ცხოვრება; ამისთანა გაჭირვებული მდგომარეობისაგან ბავშვები მეტად ხშირად ავად ხდებიან და, რადგანაც არც მოვლა და არც რიგიანი საჭმელი არა აქვსთ, უბრალო სნეულებაც საშინლად უძნელდებათ, დედ-მამებს და ნათესავებს სოფელში მიჰყავთ და იქ რამდენიმე თვეობით, ნახევარ წლობით და წლობითაც რჩებიან. მე არ ვამბობ, რა ნაკლულევანება აქვთ მათ ტანისამოსისა, ქვეშსაგებისა, ბევრს წიგნებისა და სხვა უსაჭიროესი ნივთებისა; ეს ხომ ახალი ამბავი არ არის თქვენთვის, შორაპნელო ბლაღოჩინო? წარმოიდგინეთ ამასთან აი რა: დღეს, როდესაც სასწავლებელში 4 უწინდელს კლასებს გარდა მოსამზადებელი და სამი პარალელი კლასია, 402 მოსწავლეა; წინეთ, როდესაც სასწავლებელში მხოლოდ 4 კლასი იყო, მოსწავლეების რიცხვი თითქმის იგივე იყო; ამის

გამო კლასებში საშინელი ვიწროობა იყო ასე, რომ პირველს კლასში 130-დამ 150-მდე იყვნენ ბავშები, მეორეში თითქმის ამდენივე; მესამეში 90—130-მდე. ძლიერ ბევრს მოწაფეებს საჯდომი და საწერი ადგილი არ ჰქონდათ. ამას დაუმატოთ ისიც, რომ მასწავლებლები, მცირე ჯამაგირის გამო, დიდხანს არ დგებოდენ თავის თანამდებობაში, ხშირად იცვლებოდნენ, ხშირად ვერც ვარგოდენ. მაგრამ ვინ დაუწყებდა რჩევას და დაწუნებას, როდესაც უკეთესები მათს ადგილას არ დადგებოდენ.—საქართველოში არ არის თანასწორი სამაზრო (უეზდის) სასწავლებელი, რომელიც ამისთანა ცუდს პირობაებს ქვეშ ყოფილიყოს. მე ვამბობ იმ მდგომარეობაზე, რომელშიაც სასწავლებელი წინა ექვსი წლის განმავლობაში იმყოფებოდა. ამისთანა გარემოებაში გასაკვირველი არ იყო, რომ მოსწავლეები უმეტეს ნაწილად 2 და 3 წელიწადს რჩებოდენ თითო კლასში, მეტადრე 1 და 2 კლასებში, ზოგნი 4 წელსაც, იყვნენ იმისთანა ბედკრულებიც, რომელნიც, დიდიხნის ავათმყოფობისა, სილარიბისა და სხვა გარემოებათაგან, 5 და 6 წელიც ითვლებოდენ ერთს და იმავე კლასში. მაგრამ რაც უნდა გაჭირვებული ყოფილიყო სასწავლებლის ამ გვარი მდგომარეობა, ვინც თვალს ადევნებდა, არ შეეძლო არ შეენიშნა, რომ სასწავლებელი თან-და-თან, წლითი წლად ცოტ-ცოტად მაინც უმჯობესდებოდა სწავლითაც და სხვა მხრითაც; არც ერთხელ უკან არ ჩამორჩენია ის თავის თანასწორ სასწავლებლებს საქართველოში. მაშინდელს გარემოებაში, იმ საშუალებით, რაც სასწავლებელს ჰქონდა, უკეთესად საქმის წაყვანა შეუძლებელი იყო. მე ძლიერ შორს ვარ იმაზე, რომ სასწავლებელს ქება შევასხა; ღმერთმა დამიცვას! მაგრამ სიმართლე ითხოვს, რომ ამ შემთხვევაში, როგორც ყოველთვის შედარებით ვსჯიდეთ საგანზე. თუ აწერილს გარემოებაში უსაფუძვლო და უსამართლო იქნებოდა, რომ ვისმე დაეძრახა სასწავლებელი, რატომ უკეთეს მდგომარეობაში არ არისო, მით უმეტეს იგივე ითქმის სასწავლებლის ახლანდელი მდგომარეობის შესახებ. უკანასკნელი წელიწად ნახევრის განმავლობაში (1868-ის სეკტემბრიდამ) სასწავლებელს მოემატა მოსამზადებელი და სამი პარალელი კლასები. ამით მოისპო თითქმის მხოლოდ ერთი ცუდი გარემოება სასწავლებლისა ე. ი. უწინდელი მოსწავლეების სიმრავლე და სივიწროვე კლასებში;— თ ი თ ქ მ ი ს ვამბობ ამისთვის, რომ ორს კლასში დღესაც მეტად ბევრი მოსწავლეები არიან, მაგ. მოსამზადებელში 92 ბავში არის. სხვა გარემოებები შეუცვლელად დარჩნენ: მოსწავლეების ყოფა-ცხოვრება სასწავლებელს გარეთ უწინდლურად გასაოცრად შევიწროებულია: იგივე სილარიბე, იგივე ხშირი ავათმყოფობა, იგივე ნაკლულევანობა ყველაფერში; მასწავლებლების მდგომარეობა არას გზით არ ითქმის გაუმჯობესებულად.—ვამბობ სასწავლებლის მხოლოდ ერთი ცუდი გარემოება შეიცვალა; ამ ცვლილების სრულს და კარგს რეზულტატს მომავალში უნდა მოველოდეთ; მაგრამ ახლაც ძრიელ ეტყობა სასწავლებელს იმ ცვლილების კარგი ზედმოქმედება: სწავლა უწინდელზე ბევრად უკეთესად მიდის; ახლა იშვიათად შეიძლება მოხდეს ამისთანა ფაქტი, რომ მოსწავლეს ერთს კლასში 3 და 4 წელიწადი დააყოვნდეს. შორაპნელი ბლოღჩინი ამბობს: "ამბობენ ახლა უმჯობესობა არისო სწავლაში, მაგრამ მასწავლებლების გამოცვლამდე მე ამას დ რ ო ე ბ ა ს (?) მივუწერ და არა პროგრამმის ცვლილებას". დიდი ლოლიკა უნდა ჰქონდეს იმ კაცს, რომელმაც ამისთანა მსჯელობა წარმოსთქვა! ამისთანა ჩლუნგი იარაღით გინდათ ვისმეს რამე ავნოთ, შ. ბ.?...

ყოველგან საკმაოდ ბევრნი არიან იმისთანა პირები, რომელნიც დაუზოგავად აძაგებენ რომელსამე სასწავლებელს და მის მასწავლებლებს ხშირად იმ მიზეზით, რომ მათმა შვილებმა, ძმებმა ან ნათესავებმა ვერ იხეირეს ამ სასწავლებელში სხვა და სხვა მიზეზების გამო; ან იმისთვის, რომ წინანდლურა ცემა-ტყეპა აღარ არის: რას ისწავლიანო, შიში არა აქვსთო? და სხ.. მეტის მეტად არ უნდა დაძრახოს კაცმა ეს უმეცარი პირები ამისთანა ქცევისა და მსჯელობისათვის; ხშირად ისინი გულწრფელად მაინც ამბობენ; მეტი არ იციან, რა ჰქნან?! მაგრამ განა შეიძლება კაცმა გულგრილად უყუროს, როდესაც ამას შვრება კაცი, რომელიც სწავლის ერთ ნაირს პრეტენზიას იჩენს. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . რომელიც, მერმე კიდევ, საქვეყნოთ, ბეჭდით აცხადებს: სასწავლებელი არ ვარგაო, მასწავლებლებს გამოცვლა უნდაო? მე განა ბეჭდეით გამოცხადების წინაალმდეგი ვარ? სრულებითაც არა, შ. ბ., მე მხოლოდ იმას ვამბობ: სად არის დამტკიცება, სად არის თქვენი საბუთი? მე, მაგ., ახლა ძლიერ საკმაო საბუთები მაქვს, რომ სრული, საფუძვლიანი აზრი შევადგინო თქვენზე; ეს არის თქვენი ბედკრული სტატია. გაქვსთ თქვენ რამე ამ ნაირი საბუთი, რომლის საფუძვლითაც შეგეძლოსთ ასე გაბედვით მსჯელობის წარმოთქმა მასწავლებლების უვარგისობაზე? ხშირად გიყურებიათ თქვენ კლასებში იმათ სწავლებაზე? არა, თქვენ არასოდეს არ ყოფილხართ ჩვენი სასწავლებლის კლასებში, რომ ყური გეგდოთ და შეგედგინათ აზრი იმაზე, რომელი მასწავლებელი როგორ ასწავლის, რა ღირსება და რა ნაკლულევანება აქვს მათს სწავლას, მეტოდს. შეგეძლოთ რომ თქვენ ეს განგესაჯათ თუ არა — ეს სხვა საქმეა; . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . მე მაინც კათეგორიულათ მოვითხოვ თქვენგან აი რას:

1. თქვენ უნდა დალაგებით, გარკვევით წარმოსთქვათ და დაამტკიცოთ, რომელი მასწავლებელი რით არ ვარგა და არ არის თავის თანამდებობის ღირსი.

2. თქვენ რომ აცხადებთ: როდესაც მოსწავლეების მამები მასწავლებლებთან მიდიან და ჰკითხავენ—რატომ ჩვენი შვილები არ სწავლობენო, ისინი პასუხად ეუბნებიანო—თქვენს შვილებს გულის ყური არ აქვსთო,—თქვენ უნდა დაამტკიცოთ რომელი მასწავლებლები იქცევიან ასე.

3. თქვენ უნდა განსაზღვრებით გამოაცხადოთ და დაამტკიცოთ, რაში შეამჩნიეთ სასწავლებლის მთავრობას მოუმჰირნეობა.—

თუ თქვენ ამ ჩვენს მოთხოვნილებას არ აღასრულებთ, მაშინ ჩვენ ვიხმართ თქვენ წინაალმდეგ იმ ზომას, რომელიც ჩვეულებრივ ჭორის გამვრცელებლების და ცილის მწამებლების წინაალმდეგ იხმარება.

ვათავებ ჩემს პასუხს ჰეინეს სიტყვებით: „ყველა კაცს აქვს უფლება როგორიც უნდა ხეპრე იყოს, მაგრამ იმის ნება კი არა აქვს, რომ ეს უფლება ბოროტად მოიხმაროს."

გ. ქალანდარიშვილი.

ქუთაისი.

26 დეკემბერი 1869 წ.

# პოლიტიკა.

## ფრანცია.

პ ა რ ი ჟ ი, 10 (22) დ ე კ ე მ ბ ე რ ს. ამ მოკლე ხანში გავარდა ხმები ვითომ ფრანციას ერჩიოს სხვა სახელმწიფოებისათვის, რომ ჯარიანობა მოესპოთო; ახლა ფრანცუზული ოფიციალური გაზეთები ამბობენ, რომ ეს ამბავი სულ ტყუილიაო: არც პეტერბურღში, არც ვენაში და არც ბერლინში ფრანციის ელჩებს არ ულაპარაკნიათ ამ საგანზედაო.—

— 16 (28) დ ე კ ე მ ბ ე რ ს. „ოფიციალურს ჟურნალში" გამოცხადებულია, რომ სამინისტრომ შეიტანაო სამსახურიდან დათხოვნის ქაღალდი და იმპერატორმა მიიღო ეს თხოვნაო.—აქვეა მოყვანილი იმპ. ნაპოლეონის წიგნი ემილ—ოლივიესთან: „უფალო დეპუტატო! სამინისტრომ შემოიტანა თხოვნა გადადგომისა; ამის გამო მოემართავ თქვენ მამულის მოყვარეობას და გთხოვთ მიჩვენოთ პირები, რომელთაც შეეძლოსთ თქვენთან ერთად სამინისტროს შედგენა. სრული იმედი მაქვს კანონმდებელი კორპუსისა და თქვენი, რომ შემეწევით სახელმწიფოს კონსტიტუციონურს მმართვაში".

„დარწმუნებული იყავით, მოწყალეო ხელმწიფეო, ჩემს თქვენდამი პატივის ცემაში, ნაპოლეონი".

— კანონმდებელი კორპუსის პრეზიდენტათ ამოირჩიეს შ ნ ე ი დ ე რ ი, ვიცე-პრეზიდენტებათ: ტ ა ლ ჰ უ ე, შ ე ვ ა ნ დ ი ე, ჟ ე რ ო მ დ ა ვ ი თ ი და დ ა რ ი უ.

— 20 დ ე კ. (1 ი ა ნ ვ ა რ ს). გაზეთში „Constitutionnel" დაბეჭდილია შემდეგი სია ახალი მინისტრებისა: ემ. ო ლ ი ვ ი ე—იქნება იუსტიციის მინისტრათ, ბ ო დ ე ნ ი —უცხო ქვეყნის საქმეებისა, შ ე ვ ა ნ დ ი ე—შინაგანი საქმეებისა, მორის რ ი შ ა რ—საზოგადო სამუშაოსა, ლ უ ვ ე—ვაჭრობის მინისტრათ. დანარჩენი მინისტრები თავიანთ ადგილებზე დარჩებიან.

## ავსტრია და ვენგრია.

ვ ე ნ ა, 24 დ ე კ ე მ ბ ე რ ს. კატტაროს მაზრაში არეულობა ჯერ კიდევ არ დაუმშვიდებიათ. გაზეთები ურჩევენ მმართებლობას—ჯერ დაიმორჩილოს განდგომილები და მერე შეუურგდეს იმათ.

— 25 დ ე კ ე მ ბ ე რ ს. ოფიციალური წყაროდან ვტყობილობთ, რომ ბრანჩის ინსურგენტებს დაუდვიათ თოფ-იარაღი და მორჩილობა გაუცხადებიათ ავსტრიის მმართებლობის წინ.—

—13 დეკემბერს მუშა-ხალხმა მოახდინა ვენაში დემონსტრაცია; ამ დემონსტრაციის მოთავე—გ ა რ ტ უ ნ გ ი გაქცეულა ვენიდან და, როგორც ამბობენ, ახლა ბავარიაში იმყოფებაო.

პ რ ა გ ა, 29 დ ე კ ე მ ბ ე რ ს. აქაურ მუშა—ხალხს უნდა შეადგინოს ყრილობა, რომელზედაც შემდეგ საგნებზე მოილაპარაკებენ: რა ღონისძიება უნდა იხმარონ, რომ მუშა—ხალხს მიეცეს უფლება კავშირების შედგენისა; გადასახადის მოსპობა გაზეთის ქაღალდზე; ბეჭდვის თავისუფლებაზე და ამორჩევის უფლების თაობაზე.—

## ანგლია

ლ ო ნ დ ო ნ ი, 25 დ ე კ ე მ ბ ე რ ს. დუბლინში გამოვიდა ამერიკის ფენიების მანიფესტი, რომელშიაც საკმაოდ მკვახე სიტყვები მოიპოება ანგლიაზე; განსაკუთრებითი ხასიათი ამ ახალი მანიფესტისა ის არის, რომ არეულობის მოხდენის მაგივრათ ურჩევს ირლანდიელებს სიძულილი და უკმაყოფილობა ჩამოაგდონ ანგლიაზე და მუდამ აშინებდენ იმას არეულობის მოხდენით. მანიფესტი ხელმოწერილია დჯონ სავაჟისაგან, რომელიც ამერიკის ფენიების პრეზიდენტი იყო; ბოლოს მანიფესტი ევედრება ირლანდიის შვილებს და თანამგრძნობელებს, რომ ყოველი ღონისძიება მოიხმარონ იმის განთავისუფლებისათვის.—

ანგლიის გაზეთებში გამოცხადებულია გამოჩენილი კაცთ-მოყვარეს—პ ი ბ ო დ ი ს ანდერძი, რომლიდგანაც ვსცნობთ, რომ იმას დარჩენია სულ 400,000 გირვანქა სტერლინგი (თითქმის სამი მილიონი მან.) ამ ფულებიდამ 150,000 გირვ. სტ. პიბოდის უანდერძებია ლონდონის ღარიბი მუშებისთვის სახლის ასაშენებლად; ზოგიც სხვა სამადლო საქმეებისთვის შეუწირავს. დანარჩენი კი თავის ნათესავებისთვის უანდერძებია.—

## ისპანია.

მ ა დ რ ი დ ი, 17 (29) დ ე კ ე მ ბ ე რ ს. იუსტიციის და საეკკლესიო საქმეების მინისტრმა—ზ ო რ ი ლ ი ა მ თავის სიტყვაში, რომელიც იმან წარმოსთქვა ქ. ალბაცეტში, გამოაცხადა, რომ თუ დროებითმა მმართებლობამ ამ მოკლე დროებაში ვერ მონახა ისპანიისათვის კოროლი, მაშინ ის მიჰმართავს რესპუბლიკურს ფორმას მმართველობისასო.—

## იტალია.

ფ ლ ო რ ე ნ ც ი ა, 14 (26) დ ე კ ე მ ბ ე რ ს. ახალი სახალხო განათლების მინისტრი—კ ო რ რ ე ნ ტ ი სცდილობს დააწესოს კანონი საყოველთაო და ვალდებულებითი სწავლის გავრცელებაზე მთელს იტალიაში; იმან უკვე გარდასცა კოროლს ამ კანონის პროექტი დასამტკიცებლად. კორრენტი მით უმეტეს სცდილობს ამაზე, რომ, იმის საფუძვლიანი აზრით, ხალხის განათლება არის უპირველესი და აუცილებელი საძირკველი იტალიის თავისუფლებისა და კონსტიტუციის სიმკვიდრისა.—

— ნეაპოლში შესდგა ამას წინეთ „თავისუფალი მსჯელების" ყრილობა, რომლის დანიშნულება ის იყო, რომ ეწინაალმდეგებია რომის მსოფლიო კრებისათვის, მაგრამ რამდონისამე სხდომის შემდეგ, ეს ყრილობა დახურა იტალიის მმართებლობამ. ამის შემდეგ ყრილობის ხელმძღვანელმა—რ ი ჩ ჩ ა რ დ ი მ დაბეჭდა გაზეთებში შემდეგი პროტესტი კრების დახურვაზე და დეკლარაცია: „რადგან, ყოველი კანონისა და კონსტიტუციის წინაალმდეგ, ჩვენ ყრილობას და მშვიდობიანს ბაასობას ბოლო მოუღეს, ამის გამო იძულებული ვართ დავანებოთ ამ საქმეს თავი ამ წლის სექტემბრამდინ, როდესაც თავისუფალი მსჯელები ხელ-ახლად შეიყრებიან ჟენევაში გაზ. „რაციონალისტის" რედაქციის მოწვევითა.—იმ დრომდინ, როდესაც ჩვენ გვექნება საშუალება თავისუფალ ქვეყანაში თავისუფლად წარმოვსთქვათ ჩვენი აზრები, ვალდებულად ვრაცხთ გამოვაცხადოთ შემდეგი დეკლარაცია პრინციპებისა, რომელიც წარუდგინა ყრილობას ხუთი კაცის კ ა მ ი ს ი ა მ: „ქვემორე ამისა ხელის მომწერნი, გინათლებული ქვეყნების დელეგატები, რომელნიც შევიკრიბენით ნეაპოლს თავისუფალი მსჯელების კონგრესსში მონაწილეობის მისაღებად, დავსდებთ შემდეგ პრინციპებს: რელიგიური ავტორიტეტის წინაალმდეგ ვაცხადებთ სინიდისის და გონების თავისუფლებასა; ეკკლესიის და სახელმწიფოს დესპოტიზმის წინაალმდეგ დავსდებთ სრულ დამოუკიდებლობას პიროვნებისას; ხელმწიფეების და მღვდლების კავშირის წინაალმდეგ დავსდებთ თვითონ ხალხების თანხმობასა; კლერიკალური განათლების წინაალმდეგ დავსდებთ თავისუფალ შკოლას და პრივილეგიის წინაალმდეგ—უფლებასა."

## ნეკროლოღი,

ხუთშაბათს იანვრის 1-ს, ნაშუადღევის 2 საათზე გარდაიცვალა, ერთი კვირის ავათმყოფობის შემდეგ, ფილტვის ანთებით ლ ა ვ რ ე ნ ტ ი ა რ დ ა ზ ი ა ნ ი, 52 წლისა. ლავრენტი არდაზიანი ეკუთვნოდა იმ კეთილ-გონიერის მცქონე პირთა, რომელთაც აღმოუჩინეს კალმით შემწეობა განახლებულ „ცისკარსა". 1858-დგან ვიდრე 1863 წლამდე თითქმის ყოველ წელს „ცისკარში" ვხედავთ იმის სტატიებსა. 1858 წ. იყო დაბეჭდილი ნათარგმნი შექსპირის დრამმა „ჰამლეტი",59—პოლემიკური სტატიები,—62-ს წვრილი სტატიები და იმათში ერთი ბიძია თონიკეს სახელითა. 63-ს რომანი „მოჩილი" და პოლიტიკო-ეკონომიური სტატიები—„ყოველივე შრომით მოიპოვება". 61-ში იყო დაბეჭდილი პირველსა და მეორე ნომერში რომანი „ს ო ლ ო მ ო ნ ი ს ა კ ი ჩ მ ე ჯ ღ ა ნ უ ა შ ვ ი ლ ი". ეს უკანასკნელი თხზულება შესანიშნავია ჩვენს ლიტერატურაში ბევრის ადგილების სინამდვილით. ამ რომანში ისეთი ნამდვილი ცხოვრების სურათებია, თითქოს ფოტოგრაფიული სურათები იყოსო.—1863 წელს შემდეგ, როგორც გვახსოვს, არდაზიანს აღარა დაუწერია რა. ეს გარემოება უფრო ამაღლებს არდაზიანს და გვიჩვენებს იმის პატიოსან, კეთილშობილურს თვისებას: როდესაც საჭიროება მოითხოვდა რომ ცოტაოდენი ღონისძიებანი შეერთებულ იყვნენ ლიტერატურის წარმატებისათვის, მაშინ არდაზიანი შრო-

2 იანვარს იყო პეტერბურღში პირველი შინაგანი სესხის ტირაჟი და შემდეგ ბილეთებმა მოიგეს:

| № სერიისა | № ბილეთისა | მოგება |
|---|---|---|
| 3,563 | 19 | 200,000 მან. |
| 3,195 | 36 | 75,000 მან. |
| 1,962 | 3 | 40,000 მან. |
| 5,533 | 18 | 25,000 მან. |
| 12,935 | 30 | თითოს 10,000 მან. |
| 19,336 | 42 | |
| 1,653 | 34 | |
| 14,283 | 11 | თითოს 8,000 მან. |
| 6,294 | 21 | |
| 19,156 | 19 | |
| 8,873 | 44 | |
| 17,264 | 25 | |
| 7,110 | 3 | თითოს 5,000 მან. |
| 11,140 | 43 | |
| 18,182 | 48 | |
| 7,809 | 1 | |
| 5,909 | 6 | |
| 19,457 | 8 | |
| 1,464 | 47 | |

(ტელეგრამმა გაზ. კავკაზისა).

## ბიბლიოგრაფიული ცნობები.

ენფიანჯიანცის წიგნის მაღაზიში ისყიდება.

ვეფხვის ტყაოსანი (1867 წლის გამოცემა). ფასი—ათი შაური.

მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, (ხანის ქუჩაზე, ბებუთოვის სახლში) და აგრეთვე ალადათოვის წიგნის მაღაზიაში

ისყიდება
„კაცია ადამიანი“
თხზ. თ. ი. ჭავჭავაძისა-
ფასი ათი შაური

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა 1870 წლის პაწაწინა კალენდარი—ფასი სამი კაპ.; ეს პაწაწინა კალენდარი გაისყიდება მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში და ქუთაისში—პრინცის ტიპოგრაფიაში; აქვე იპოვება სხვა ქართული წიგნებიც.—

## კერძოობითი განცხადებაები

ერთს საშუალ სასწავლებ ლში კურს დასრულებულს ყმაწვილ კაცს ჰსურს აძლიოს უროკები გიმნაზიის საგნებიდან. ადრესი იკითხეთ „დროების“ რედაქციის კონტორაში (ხანის ქუჩა, ბებუთოვის სახლი).


# განცხადება
# 1870 წელს
## სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი
# „მნათობი“

გამოვა იმავე პროგრამმით და იმავე სივრცითა და მიმართულებით, როგორც ამ 1869 წელში გამოდიოდა.

1870 წლის „მნათობის“ ფასი—მთელი წლისა (თორმეტი წიგნისა) გაგზავნით—ისევ რვა მანეთი იქნება. ნახევარ წლის ხელის მოწერა არ მიიღება; გარნა მთელი წლის ფასი შეიძლება შემოიტანონ ორ ნაწილად—ოთხ ოთხი მანეთი.

ამასთანავე ვისაც მომავალი წლის „მნათობის“ დაბარება ჰსურს, რედაქცია სთხოვს ადრევე აცნობოს მას, რადგან ეს საჭიროა რედაქციის თავ-და-რიგისთვის,—და მასთანავე წარმოადგინოს ხვედრი ფული.

### ხელის მოწერა შეიძლება

თბილისში, „მნათობის“ რედაქციის კანტორაში, რომელიც იმყოფება ქუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, დავით ავალოვის სახლებში. აგრეთვე უ. ნ. ალად თოვის წიგნების მაგაზიაში, თამამშოვის ქარვასლის პირ-და-პირ, და უ. ალექსანდრე პარიკმახერთან, შიოევის სახლებში.

## „სასოფლო გაზეთის“ გამოცემაზე
1870 წელში.

მომავალს 1870 წელს „სასოფლო გაზეთი“ გამოიცემა იმავე პროგრამმით, როგორთაც ამ წელს გამოიცემოდა. ამას გარდა სასოფლო გაზეთში იქნება დაბეჭდილი სურათები საოჯახო ცხოველ-მცენარეებისა.

### ხელმოსაწერი ფასი:

გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში ერთი წლისა ოთხი მანეთი; გაუგზავნელათ სამი მანეთი.

სასოფლო სასამართლოებისათვის ტფილისის გუბერნიაში გაგზავნით სამი მანეთი, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში ოთხი მანეთი. ნახევარი წლისა გაგზავნით ორი მანეთი; გაუგზავნელათ ერთი მანეთი და ათი შაური, ერთი ნომერი ორი შაური.

„სასოფლო გაზეთი“ გამოიცემა ორ კვირაში ერთხელ შაბათობით.

### ხელი მოიწერება.

ტფილისში „დროებისა“ და „სასოფლო გაზეთის“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთა შეუძლიანთ მოითხოვონ ამ ადრესით;

Въ Тифлисъ. Въ Контору Редакціи „Сельск. Газеты“ при Типографіи Меликова. и К.



...ოწერა მიიღება:

...დროების“ რედაქციის კანტორაში, მელი-...ამბაში, ხანის ქუჩაზედ, ბებუთოვის სახლში ...მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ ...рузинской газеты „ВРЕМЯ“.

...ლოლუასთან—პოლიციის ქუჩაზე, ...ლში.

...განმავლობაში შეუძლია უკანვე მიიღოს თა-...რომელიც გამოგზავნილი იყო „დროებაში“ ...ომლისამე მიზეზისა გამო, არ დაიბეჭდა. ...საჭიროება მოითხოვს, რედაქცია შეამოკლებს ...სტატიასა და ისე დაბეჭდს გაზეთში.—


...ი ი.

...კოვის უწყებაებში“ სწერენ: „შარშან ...პეტერბურღის უნივერსიტეტში არე-...ა დროს სტუდენტების ერთი მოთავე-...და წამქეზებელი იყო ვინლაც ნეჩაე-...იეულობის მომხდენნი დამნაშავეები ...ს და დასაჯეს; მხოლოდ ეს ნეჩაევი ...ა: ის გაიქცა სამზღვარს გარეთ და ...ი ამოჰყო თავი, სადაც დაბეჭდა პროკლა-...რომელშიაც გამოაცხადა, რომ ვითომ ...ე პავლეს ციხიდან გაპარულიყოს. ...მბობენ, რომ ეს ნეჩაევი ისევ გამო-...ასპარეზზე, მაგრამ სხვა რიგ გარემო-...ერის: ამბობენ ის დაბრუნებულა თავის ...ლ სამშობლოში. ჩვენ გვწერენ პეტერ-...ან: „შარშან აგვისტოში აქ გამოვიდა ...მაცია რუსულ ენაზედ დაბეჭდილი ...სახელად: „რევოლუციის დასაწყისი“. ...კლამაციაში რუსის ემიგრანტებს მოი-...რუსეთში; მხოლოდ ზოგიერთ საპა-...იგრანტებს,—მაგ. გერცენს, ბაკუნინს ...ქეთ ნება სადაც სურთ, იქ იყვნენ. ...ომაზე გამოვიდა მეორე პროკლამაცია, ...ადაც იმ დროს უცხოქვეყნელ გა-

...როგორც ნაციონალურს, არგე-...ბაძვითსა, უნდა მტკიცეთ დამყა-...იყოს ნამდვილ ხალხის საფუძველ-...ზსული უნდა იყოს იმ ნიადაგზედ, ...აც ეკუთვნის, შტოებს ცხოველი კავ-...ნდა ჰქონდეთ ფესვებთან და არ უნდა ...ივალის მოსატყუებლათ პალესტინის ...და იტალიის ლიმონები არხანგელის ...აში ჩარჭობილი, როგორც ხშირათ ...ხოლმე. ყველა გვარი პოეზია (ლი-..., ეპიკური და დრამატიკული), არის ...პოეზიაშიაცა, როგორც ნამდვილ ...აში: ბუნებითი ლექსიცა (ლირიკა) ...ი მოთხრობაცა (ეპიკა) და ...ი ბრძოლაცა თავის ნებასთან, ...ან და გარემოებებთან (დრამა);—და ...ებითი პოეზია ლირიკა, ეპიკა და დრა-...დვილ ნაციონალური იქნება ...ოდესაც საძირკვლათ ხალხის ...ბითი პოეზია ექნება და არ

...ნოს,—მარტო წაიკითხავს ამ წიგნსა და საკმაოა. ილ. ჭავჭავაძე რომ გამოვიდა სალიტერატურო ასპარეზზედ, საკმაოდ ლანძღეს კიდეც და აქეს კიდეცა, მაგრამ არც მომხრეებმა და არც მოწინააღმდეგებმა არ იცოდნენ რიგიანათ ან რისთვისა ჰფლავდნენ ტალახში და ან რათა სცემდნენ თაყვანსა და გუნდრუკს რათ უკმევდნენ; გაუგებრად ნახირს მისდევდნენ და რასაც ერთი დაიბღავლებდა, როგორც ხშირად მოხდება ხოლმე, სხვანიც ბანს ...

...მტკივნეულობისაგან“; ამას ეტყვიან სენტიმენტალურ, ანუ ჩვენ ენაზედ, ასე ვთქვათ „ცინგლიანობით პოეზიას“, რომელიც ყოველ წუთში ქვითინებს, ფრანგების მქადაგებელსავით.—ასე შუა-გზაზედ და რაღაც გამოუკვლეველ ლიტერატურულ მიმართულებაში გაუშვა ილ. ჭავჭავაძემ (თვითონ თავისი პოეზიის ხასიათიც ჯერ გამოიჩინა ცხადათ) თავისი მცირე და გზის უცოდნელი, მაგრამ ერთგული ლაშკარი, რომლის დროშიც ასე მამაცურად ეჭირა და უძღოდა წინა, (თუმცა, საუბედუროთ, მარტო ერთ—ორ წელიწადს), და თავისი უკუდგომით დაამტკიცა ძველი, მაგრამ ყოველთვის ახალი ჭეშმარიტება, რომ „პოეტი თავის ხალხის ნამდვილი შვილია“.....

რაც უნდა იყოს, ნათქვამია „ნაბიჭვარსაც მონათვლა უნდაო.“—ჩვენი ლიტერატურის ეხლანდელ მდგომიარებას და ილ. ჭავჭავაძის პოეზიის კილოს რიგიანათ ვერ გავიგებთ, ვერც იმის მნიშვნელობას ჩვენ დროსთვის, თუ თვალი არ გადავავლეთ ჩვენ ლიტერატურასა ამ საუკუნის განმავლობაში, რომელიც ბევრით განირჩევა წინა ჩვენი ისტორიის საუკუნოებისაგან თავის ხასიათით ან, უფრო სწორეთ რო ვთქვათ, უხასიათობით, ცხრაწვენაობით. მაგრამ ჯერ ნება მომეცით აქვე ვთქვა ორიოდ სიტყვა იმაზედ, თუ რა უნდა ვიქონიოთ სახეში საზოგადოთ ლიტერატურის დაფასებაში და კრიტიკულ განხილვაში *)

ლება, იმავე დროს ნაციონალურიც არ იყოს; საკმაოა ჩამოვთვალოთ მარტო სახელები იმ მსოფლიო გენიოს პოეტებისა, რომლების თხზულებაშიაც პირველათ იმათი სამშობლო, ხალხი და მამული სჩანს და მერე მთელი ქვეყანა: ომერი, დანტე, შექსპირი, გეტე, რომლების თხზულებებშიაც ისე საკვირველის სინამდვილით და სიცხადით სჩანან იმ ხალხების სახეები, რომელთაც პოეტები ეკუთვნიან (ბერძნები, იტალიელები, ანგლიელები, ნემეცები) და იმავე დროს გამოხატვენ საზოგადოთ კაცობრიობას, ხალხებს და თვითოეულ ადამიანს სადაც და როდისაც უნდა იყოს და ყოფილიყოს; ნაციონალური თვისება არამთუ არ უშლის კოსმოპოლიტურ თვისებასა, არამედ უიმისოდ ეს შეუძლებელია: თხზულება, რომელსაც არავინა ჰყავს სახეში, არც არავის ეკუთვნის, და ყველას ყოლა—არ ყოლას უდრის.

მწიგნობრული ანუ მწერლობითი პოეზია არის მიბაძვა და შევსება ბუნებითი ანუ ზეპირ—სიტყვაობითი პოეზიისა; ისინი მხოლოდ იმითი განირჩევიან, რომ ხელოვნებითი პოეზია უფრო შემუშავებულია, დახელოვნებულია გამოცდილებისა, სწავლისა და მეცნიერების ნათლით, უფრო გამშვენიერებული და გაბრწყინვებულია;—როგორც პოეზიისა ისე საზოგადოთ მთელი ხელოვნების დანიშნულება ეს არის; მაშ სადამე თუ რომ უნდა, რომ პოეზია უკეთესად ასრულებდეს თავის დანიშნულებას და მოთხოვნი-

ესუთხზავს პოეტი შესხმასა ბულბულების ენისაგან მომზადებულ საქმელზედ, რომელსაც ხალხი სიზმარშიაც ვერ ნახავს და დრო არა აქვს ამისთანა ტუტუცობაზედ იოცნებოს.

ამ პირობების და შერიგების შემდეგ შეუდგები პირდაპირ ლიტერატურის განხილვასა, რომელსაც დავყოფ პერიოდებათ და შევეხები მარტო ამ პერიოდების ბელადებს და დროშის მატარებლებს; დანარჩენის ვრცლათ განხილვას მივანდობ და მოვიწვევ იმათ, ვინც ამ საქმეში (მწერლობაში) კიდეც შესულნი არიან და მაშა სადამე ჩვენი ხალხის ლიტერატურა და ცხოვრება უფრო დაახლოებით იციან.

ჩვენ შევეხებით უმეტესად თხზულების ლიტერატურულ ღირსებასა, ე. ი. ენის სიმდიდრესა, გარეგანი ესტეტიკური ფორმის სისრულესა, გრძნობისა და ჰაზრის სიღრმესა და ძალასა,—თვითონ საზოგადოებას კი იმდენათ შევეხებით, რამდენათაც ეს შესაძლო იქნება.

ჩვენი ლიტერატურა ამ საუკუნეში, თავის პოეზიის ხასიათის და მიმართულების გვარად, შეიძლება გაიყოს სამ პერიოდათ; პირველ პერიოდს შეადგენს ა.) ალექსანდრე ჭავჭავაძე, ბესარიონ გაბაშვილით და ამ გვარებითა, მეორეს ბ.) გიორგი ერისთავი ანტონოვით და სხვ., მესამეს გ.) ილია ჭავჭავაძე აკ. წერეთლით და სხვ.

ა.

მერწმუნეთ, ძმანო, მგრძნობელობა სჯობს
ყოველთ ნიჭთა ცით მოვლენითა,
გონებასაც და ნებასაც ის ასულდგმულებს.
ა. ჭავჭავაძე.

---

*) ეს სტატია მოუვიდა რედაქციას მიუნხენიდგან ერთი თავის თანამშრომელისაგან. თუმც რედაქცია ძნელად დაეთანხმება პატივცემულ ავტორს ზოგიერთი ჩვენი მწერლების დაფასებაზედ და ზოგიერთს კერძო მოსაზრებაზედ, მაგრამ მაინც დიდის სიამოვნებით ბეჭდავს თავის გაზეთში ამ სტატიასა, მით უფრო რომ ის (სტატია) პირველად შეეხება ძლიერ საინტერესო, მაგრამ ჯერ გაუხილველ, საგნებსა. იქნება ამ სტატიამ საფუძვლიანათ ვერ დააფასოს და ასწონოს ზოგიერთი ჩვენი მწერლები და ლიტერატურის ნაწარმოები; გაზეთისთვის დაწერილს მოკლე სტატიას ეს არც მოეთხოვება; იმას მაინც იქს, რომ აღძრავს ამ საგანზე სჯას: შეიძლება ამ სტატიის გამო გამოჩნდენ შემდეგში ისეთი პირები, რომელთაც მოჰკიდონ ხელი ჩვენი ლიტერატურის განხილვასა და უფრო საფუძვლიანათაც განიხილონ; ეს, იმედია, ყველასთვის სანატრელი და სასარგებლო იქნება.—სტატიის ბეჭდვა გაზეთის ხუთს №-ში მორჩება.—

რედ.

**) ჭეშმარიტად დიდი მადლობის ღირსია თ. მ. ზ. ჭავჭავაძე, რომლის ხარჯითაც დაიბეჭდა ეს წიგნი და აგრეთვე უფ. მიხეილ ბეთანიშვილი, რომელმაც თავსიდვა ამის გამოცემა.

*) ამ კრიტიკულ განხილვაში მე მაქვს სახეში უმეტესად ლესსინგის და ტენის ჰაზრები ლიტერატურულ ესტეტიკურ თეორიაზედ,—როგორც უკეთესი კრიტიკოსებისა, რომელნიც უმთავრეს აზრებში თანახმანი არიან.

გამო კლასებში საშინელი ვიწროო
ასე, რომ პირველს კლასში 130-დმ
იყვნენ ბავშები, მეორეში თითქმის ამ
მესამეში 90—130-მდე. ძლიერ ბევრს
ელეებს საჯდომი და საწერი ადგილი ა
დათ. ამას დაუმატოთ ისიც, რომ მა
ბლები, მცირე ჯამაგირის გამო, დიდ
დგებოდენ თავის თანამდებობაში, ხში
ელებოდნენ, ხშირად ვერც ვარგოდ
რომ ვინ დაუწყებდა რჩევას და დაწ
როდესაც უკეთესები მათს ადგილას
დგებოდენ.—საქართველოში არ არი
სწორი სამაზრო (უეზდის) სასწავლებე
მელიც ამისთანა ცუდს პირობაებს ქ
ფილიყოს. მე ვამბობ იმ მდგომარ
რომელშიაც სასწავლებელი წინა ექვს
განმავლობაში იმყოფებოდა. ამისთან
მოებაში გასაკვირველი არ იყო, რომ
ელეები უმეტეს ნაწილად 2 და 3 წე
რჩებოდენ თითო კლასში, მეტადრე
კლასებში, ზოგნი 4 წელსაც, იყვნენ
ნა ბედკრულებიც, რომელნიც, დ
ავათმყოფობისა, სიღარიბისა და სხვა გ
ებათაგან, 5 და 6 წელიც ითვლებოდ
და იმავე კლასში. მაგრამ რაც უნდა
ვებული ყოფილიყო სასწავლებლის ა
მდგომარეობა, ვინც თვალს ადევნე
შეეძლო არ შეენიშნა, რომ სასწავ
თან-და-თან, წლითი წლად ცოტ-ცო
ინც უმჯობესდებოდა სწავლითაც
მხრითაც; არც ერთხელ უკან არ ჩამ
ის თავის თანასწორ სასწავლებლებს
თეელოში. მაშინდელს გარემოებაში
შუალებით, რაც სასწავლებელს ჰქო
კეთესად საქმის წაყვანა შეუძლებელ
მე ძლიერ შორს ვარ იმაზე, რომ სასწავ
ქება შევასხა; ღმერთმა დამიცვას! მაგ
მართლე ითხოვს, რომ ამ შემთხვევაშ
გორც ყოველთვის შედარებით ვსჯი
განზე. თუ აწერილს გარემოებაში უ
ლო და უსამართლო იქნებოდა, რო
დაეძრახა სასწავლებელი, რატომ უკე
გომარეობაში არ არისო, მით უმეტე
ითქმის სასწავლებლის ახლანდელი მ
რეობის შესახებ. უკანასკნელი წელი
ხევრის განმავლობაში (1868-ის სექ
დამ) სასწავლებელს მოემატა მოსამზა
და სამი პარალელი კლასები. ამით
თითქმის მხოლოდ ერთი ცუდი გარ
სასწავლებლისა ე. ი. უწინდელი მო
ების სიმრავლე და სივიწროვე კლას
თ ი თ ქ მ ი ს ვამბობ ამისთვის, რო
კლასში დღესაც მეტად ბევრი მოსწ
არიან, მაგ. მოსამზადებელში 92 ბავ
სხვა გარემოებები შეუცვლელად დარჩნენ:
მოსწავლეების ყოფა-ცხოვრება სასწავლებელს
გარეთ უწინდლურად გასაოცრად შევიწროე-
ბულია: იგივე სიღარიბე, იგივე ხშირი ავათ-
მყოფობა, იგივე ნაკლულევანობა ყველაფერ-
ში; მასწავლებლების მდგომარეობა არას გზით
არ ითქმის გაუმჯობესებულად.—ვამბობ სას-
წავლებლის მხოლოდ ერთი ცუდი გარემო-
ება შეიცვალა; ამ ცვლილების სრულს და
კარგს რეზულტატს მომავალში უნდა მოვე-
ლოდეთ; მაგრამ ახლაც ძლიელ ეტყობა სას-
წავლებელს იმ ცვლილების კარგი ზედმოქ-
მედება: სწავლა უწინდელზე ბევრად უკეთე-
სად მიდის; ახლა იშვიათად შეიძლება მოხ-
დეს ამისთანა ფაქტი, რომ მოსწავლეს ერთს
კლასში 3 და 4 წელიწადი დააყოვნდეს. შო-
რაპნელი ბლოტჩინი ამბობს:"ამბობენ ახლა
უმჯობესობა არისო სწავლაში, მაგრამ მასწა-
ვლებლების გამოცვლამდე მე ამას დ რ ო ე-
ბას (?) მივუწერ და არა პროგრამმის ცვლი-
ლებას", დიდი ლოღიკა უნდა ჰქონდეს იმ
კაცს, რომელმაც ამისთანა მსჯელობა წარმო-
სთქვა! ამისთანა ჩლუნგი იარაღით გინდათ
ვისმეს რამე ავნოთ, შ. ბ.?...

მობდა; ხოლო როდესაც სხვა მოთხოვნილე-
ბამ და სხვა ძალმა გაიღვიძა ლიტერატურა-
ში, მაშინ ჩამოეცალა, სხვებს უფრო ძლიე-
რებს დაუთმო ადგილი და ისე არ გაქინიან-
და და გაჯიბრდა როგორც საზოგადოთ „Ცი-
სკარი" და სათვითაოთ ზოგნი გაჯიბრებუ-
ლან და ამით ამტკიცებენ თავის არამც თუ
სისუსტესა არამედ ცუდის თვისების ზნე'აც,
რომელსაც არ ვასახელებთ. ამასთან ამ სტ-
რიქონების დამწერს აგონდება თავისის ყუ-
რით გაგონილი სიტყვა Არდაზიანისა: „Ვისაც
რაც ღონე მოგვდევს, უნდა შევეწიოთ ჩვენს
ლიტერატურასა; იმისთვის მაინცა ვწეროთ,
რომ სხვებმა თქვან—ისინი ცუდათა სწერენ,
ჩვენ კარგა დავწეროთო." ამ სიტყვებში გა-
მოიხატება Არდაზიანის მართლა კეთილი გუ-
ლი და ჭეშმარიტი სურვილი სიკეთისა. Ის
არა ჰგავდა ზოგიერთთა, რომელნიც თავისის
სახელისათვისა ზრუნავენ, რომელთაც თავის
თავი ღმერთათ გაუხდიათ, ჰგონიათ და ამ-
ტკიცებენ რასაც კი დავსწეროთ, ნამდვილ ჭე-
შმარიტებასა და სიმართლეს ვამბობთო. Არა,
Არდაზიანი ჰფიქრობდა ოღონც კი კეთილი
რამ გაკეთდეს და ჩემი ხელით გაკეთდება თუ
სხვის ხელით ეს სულ ერთიაო; სხვის ხელით
თუ უკეთესათ საქმე გარიგდება, ის მირჩევნია,
ჩემის ხელით ნაკლებათ გაკეთებულსაო. Მც-
ნობნი და თანამემსახურენი ერთ ხმით აღია-
რებენ იმის მშვიდობიანობას, პატიოსნობას
და მოყვარულს გულსა; ერთი კაცი არ იტყ-
ვის ამის სამდურავსა. Ამბობენ: პირიქით თა-
ვის გამაუპატიურებელს და მტერს შემწეობით
ხელს უმართავდაო; ამის დასამტკიცებლათ მა-
გალითებიც მოჰყავთ. Მშვიდობა შენს ხსენე-
ბას, მშვიდობისა და კეთილის მოყვარეო კაცო!
Არდაზიანს დარჩა დიდი წვრილ-ფეხობა; ღმერ-
თმა ქნას, მცნობებმა და ნათესავებმა იზრუ-
ნონ ამ ყმაწვილების ჯეროვანი განათლები-
სათვის; იმათ, არა გვგონია, საკმაო ღონისძი-
ება დარჩენოდეთ, რადგანაც განსვენებული
ოლქის სასამართლოს სეკრეტარი იყო.

Კვირას ამ თვის 4-ს მიცვალებული დაასა-
ფლავეს Ვერის სასაფლაოზედ.

Უ.

## ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ.

Რამდენი სიკეთის შეძენა შეუძლია საზოგადოების-
თვის მარტო ერთი კაცის მეცადინეობას და ენერგიას,
გვიმტკიცებს ერთი Ლაპლანდელი უბრალო ქალის მა-
გალითი, რომელმანც დააფუძნა თავის სამშობლოში—
Ლაპლანდიაში რამდონიმე **ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲨᲙᲝᲚᲔᲑᲘ.**
Ამ შესანიშნავი ქალის ცხოვრება სწორეთ ზღაპრსა
ჰგავს: თავის სიყმაწვილე მ ა რ ი ა მ მ ა ტ ე დ ე ტ ე-
რ მ ა (სახელი ამ ქალის) გაატარა მწყემსობაში; ის
აძოვებდა თავის მამის ირმებს საბალახოებზე და ხანდის-
ხან მთელ კვირას ატარებდა მინდორში თავის ირმებსა
და ტყის ნადირებს შუა; მთელი კვირის განმავალობა-
ში ამ ქვეყნის ბნელს და სუსხიან ღამეებს ის იმყო-
ფებოდა გარეთ და ან თოვლზე ეძინა და ან მიზდევდა
უკან თავის ნახირსა. Ამ ნაირ მდგომარეობაში მყოფი
მატედეტერი ბევრს ჰფიქრობდა თავის თანამემამულეების
საწყალს მდგომარეობაზედ და იმათს უმეცრებაზედ;
იმას ჰსურდა დაეხსნა ისინი რამე გზით ამ უმეცრები-
საგან. Ბოლოს 1866 წ. იმან მოჰკიდა საქმეს ხელი:
დაისწავლა შვედური ენა, გამოეთხოვა დედ-მამას და
გაემგზავრა ქვეითად Სტოკჰოლმში ხელმწიფესთან. Რა-
ღონისამე კვირის შემდეგ მიაღწია იქა; მივიდა ხელმწიფე-
სთან და იმის მეუღლესთან და განუცხადა Ლაპლან-
დიაში საქალებო შკოლების დაარსების სურვილი; რა-
საკვირველია, ის სთხოვდა ხელმწიფეს შემწეობას ამ
საქმეში. Ხელმწიფემ და მისმა მეუღლემ დიდის ღმო-
ბიერებით მოისმინეს ის და მისცეს ფულით შემწეობა
შკოლებისათვის. Მაგრამ პირველში მატედეტერს მაინც
ძალიან გაუჭირდა საქმე, რადგან უმეტესი ნაწილი იმის
შაგირდების მეტის მეტი ღარიბი დედ-მამის ქალები იყვ-
ნენ: იმათ არ მოეძეოდათ არც ფეხს და არც ტანსაცმე-
ლი, თითქმის ლუკმა პურის შოვნაც უჭირდათ. Მა-
გრამ იმდონი მეცადინეობა და ენერგია იხმარა ამ გასა-
ოცარმა გლეხი კაცის ქალმა, რომ Ლაპლანდიაში ახლა
რამდონიმე საქალებო შკოლები იმყოფება იმის გაწყო-
ბილები: ამ შკოლებში მომეტებულ ნაწილად ღარიბი
დედ-მამის ქალები იზრდებიან და რიგიან სწავლასაც
იღებენ.—

Ამ დღეებში გამოვიდა აქ „Კავკასიის Კალენდარი" ამ 1870 წლისა, რომელშიაც მკითხველი ნახავს ბევრ საინტერესო სტატისტიკურ ცნობებს Კავკასიის მხარეზე. Პირველ შემთხვევაში მოგვყავს ამ კალენდარიდან ციფრები Თფილისის და Ქუთაისის გუბერნიის სივრცისა და რიცხვი მცხოვრებლებისა. Ეს ცნობები შეკრებილია Კავკასიის სტატისტიკური კომიტეტისაგან 1867 წელს; მაშა სიდამე ამ წელს შემდეგ მცხოვრებლების სიმჭიდროვე ცოტას მაინც მოიმატებდ:

| სახელები ქალაქებისა და უეზდებისა | კვადრატული (ოთხკუთხი) ვერსი | სიმჭიდროვე მცხოვრებლებისა, ორივე სქესისა: ქალაქებში | სიმჭიდროვე მცხოვრებლებისა, ორივე სქესისა: უეზდებში | ქალაქში მაზრაში მცხოვრებთ რიცხვი | რამდენი სული სახლობს ერთს კვადრატულ ვერსზე. |
|---|---|---|---|---|---|
| **Თფილისის გუბერნია** | | | | | |
| Თფილისის უეზდი — — — — — | 9,813 | 64,462 | 98,899 | 163,361 | 16 |
| Გორის — — — — — — — | 5,940 | 5,355 | 117,102 | 122,456 | 19 |
| Თელავის — — — — — — — | 2,667 | 5,784 | 45,350 | 51,334 | 19 |
| Სიღნახის — — — — — — — | 4,075 | 9,834 | 67,628 | 77,462 | 19 |
| Ელისავეტოპოლის *) — — — — | 12,739 | 14,971 | 133,509 | 148,480 | 11 |
| Მთიულების მაზრა — — — — — | 3,712 | „ | 16,756 | 16,756 | 4 |
| Თიანეთის მაზრა — — — — — | 3,932 | „ | 32,922 | 32,922 | 8 |
| სულ მთელს გუბერნიაში — — | 42,881 | 100,405 | 512,166 | 612,571 | 14 |
| **Ქუთაისის გუბერნია** | | | | | |
| Ქუთაისის უეზდი — — — — — | 3,774 | 8,263 | 130,858 | 139,121 | 36 |
| Შორაპნის — — — — — — — | 2,894 | — | 113,544 | 113,544 | 39 |
| Რაჭის — — — — — — — — | 2,652 | — | 50,300 | 50,300 | 18 |
| Ოზურგეთის — — — — — — — | 1,934 | 2,288 | 52,802 | 55,090 | 28 |
| Ახალციხის **) — — — — — — | 4,792 | 15,977 | 64,090 | 80,068 | 16 |
| Ზუგდიდის — | | „ 433 | 87,006 | 87,440 | |
| Სენაკის — — — — — — — — | 5,898 | 2,398 | 86 815 | 89,213 | „ |
| Ლეჩხუმის — | | „ | 28,565 | 28,565 | 34 |
| Სვანეთის საპრისტავო — — — — | 2,209 | „ | 10,055 | 10,055 | „ |
| სულ მთელს გუბერნიაში — — | 24,156 | 29,359 | 624,035 | 653,394 | 27 |

*) Იმ დროს Ელისავეტპოლი ცალკე გუბერნიას არ შეადგენდა.

**) Ახლა Თფილისის გუბერნიასთან არის შეერთებული.

Თუ თქვენ ამ ჩვენს მოთხოვნილებას არ
აღასრულებთ, მაშინ ჩვენ ვიხმართ თქვენ წი-
ნააღმდეგ იმ ზომას, რომელიც ჩვეულებრივ
ჭორის გამვრცელებლების და ცილის მწამე-
ბლების წინააღმდეგ იხმარება.

Ვათავებ ჩემს პასუხს ჰეინეს სიტყვებით:
„Ყველა კაცს აქვს უფლება როგორიც უნდა
ხეპრე იყოს, მაგრამ იმის ნება კი არა აქვს,
რომ ეს უფლება ბოროტად მოიხმაროს."

Ზ. Კალანდარიშვილი.

Ქუთაისი.

26 დეკემბერი 1869 წ.

# ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ.

## ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲐ.

Პ ა რ ი ჟ ი, 10 (22) დ ე კ ე მ ბ ე რ ს. Ამ
მოკლე ხანში გავარდა ხმები ვითომ Ფრან-
ციას ერჩიოს სხვა სახელმწიფოებისათვის, რომ
ჯარიანობა მოესპოთო; ახლა ფრანცუზული
ოფიციალური გაზეთები ამბობენ, რომ ეს ამ-
ბავი სულ ტყუილიაო: არც Პეტერბურღში,
არც Ვენაში და არც Ბერლინში Ფრანციის

...ლების თაობაზე.—

## ᲐᲜᲒᲚᲘᲐ

Ლ ო ნ დ ო ნ ი, 25 დ ე კ ე მ ბ ე რ ს. Დუბ-
ლინში გამოვიდა Ამერიკის ფენიების მანიფე-
სტი, რომელშიაც საკმაოდ მკვახე სიტყვები
მოიპოვება Ანგლიაზე; განსაკუთრებითი ხასია-
თი ამ ახალი მანიფესტისა ის არის, რომ არე-
ულობის მოხდენის მაგივრათ ურჩევს ირლან-
დიელებს სიძულილი და უკმაყოფილობა ჩა-
მოაგდონ Ანგლიაზე და მუდამ აშინებდენ
იმას არეულობის მოხდენით. Მანიფესტი ხელ-
მოწერილია Დჯონ სავაქისაგან, რომელიც
Ამერიკას ფენიების პრეზიდენტი იყო; ბო-
ლოს მანიფესტი ევედრება Ირლანდიის შვი-
ლებს და თანამგრძნობელებს, რომ ყოველი
ღონისძიება მოიხმარონ იმის განთავისუფლე-
ბისათვის.—

Ანგლიის გაზეთებში გამოცხადებულია გამოჩენილი
კაცთ-მოყვარეს—Პ ი ბ ო დ ი ს ანდერძი, რომლიდგანაც
ვსცნობთ, რომ იმას დარჩენია სულ 400,000 გირ-
ვანქა სტერლინგი (თითქმის სამი მილიონი მან.) Ამ
ფულებიდამ 150,000 გირვ. სტ. Პიბოდის უანდერ-
ძებია Ლონდონის ღარიბი მუშებისთვის სახლის ასაშე-
ნებლად; ზოგიც სხვა სამადლო საქმეებისთვის შეუწი-
რავს. Დანარჩენი კი თავის ნათესავებისთვის უანდერ-
ძებია.—

ნეს კალმით შემწეობა განახლებულ „Ცის-
კარსა". 1858-დგან ვიდრე 1863 წლამდე თი-
თქმის ყოველ წელს „Ცისკარში" ვხედავთ
იმის სტატიებსა. 1858 წ. იყო დაბეჭდილი
ნათარგმნი შექსპირის დრამმა „Ჰამლეტი", 59—
პოლემიკური სტატიები, —62-ს წვრილი სტა-
ტიები და იმათში ერთი ბიძია Თონიკეს სახე-
ლითა. 63-ს რომანი „Მოჩილი" და პოლი-
ტიკო-ეკონომიური სტატიები—„Ყოველივე
შრომით მოიპოვება". 61-ში იყო დაბეჭდი-
ლი პირველსა და მეორე ნომერში რომანი
„Ს ო ლ ო მ ო ნ Ი ს ა კ ი ჩ მ ე ჯ ღ ა ნ უ ა შ ვ ი-
ლ ი". Ეს უკანასკნელი თხზულება შესანიშ-
ნავია ჩვენს ლიტერატურაში ბევრის ადგი-
ლების სინამდვილით. Ამ რომანში ისეთი ნა-
მდვილი ცხოვრების სურათებია, თითქოს ფო-
ტოგრაფიული სურათები იყოსო.—1863 წელს
შემდეგ, როგორც გვახსოვს, Არდაზიანს აღა-
რა დაუწერია რა. Ეს გარემოება უფრო ამა-
ღლებს Არდაზიანს და გვიჩვენებს იმის პატ-
ოსან, კეთილშობილურს თვისებას: როდესაც სა-
ჭიროება მოითხოვდა რომ ცოტაოდენი ღო-
ნისძიებანი შეერთებულ იყვნენ ლიტერატუ-
რის წარმატებისათვის, მაშინ Არდაზიანი შრო-

Дозволено цензурою. Тифлисъ, 8-го Января 1870 г. Ს. Მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. Დროებითი რედაქტორი Ს. Მესხი. Გამომცემი Ს. Მელიქიშვილი.